# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 17 მარტი, 2011 წელი.

№49 (6661)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




საპროცესო გარიგება – კორუფციის წყარო

სხვის უბედურებაზე აშენებული ბედნიერება

ერთი ჯიბიდან – მეორეში

რუკაზე არარსებული ქვეყანა

## ორგანიზატორები კორუმპირებულებს ვერ ასახელებენ, კორუფცია კი ყვავის ③

## საქართველოს ტურიზმის „სიღნაღური“ სინდრომი

⑥



„ფორბსმა“ მსოფლიოში მუშაობისა და ტურიზმისთვის საშიში ქვეყნების ყოველწლიური ნუსხა გამოაქვეყნა. ამ მეტად არასახარბიელო რეიტინგში მოხვედრილ სახელმწიფოთა შორის საქართველოცაა.

*„ტურისტებს უმშვენიერესი შენობების მხოლოდ ფასადებს სთავაზობენ, ხოლო სათანადო მომსახურების ნასახიც არ არის“*

## იმას აბრალებენ, რაშიც ბრალეული არ იყო... ⑨



## ზურაბ აბაშიძე: რუსეთისა და საქართველოს პატრიარქების შეხვედრის შესაძლებლობას არ გამოვრიცხავ ②



## ეუთო დაგვიანებული „სასწრაფოს“ როლში ②

## ქართველ დასტაქართა მიღწევები ფილტვის კიბოთი დაავადებულ ავადმყოფთა მკურნალობაში ⑦



## რა გზით ცდილობს ხელისუფლება ② დასავლეთთან ინტეგრაციას?



## აზრის ⑪ ქალა

## შეძლებს რუსეთი ⑧ საქართველოს გვერდის ავლით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლას?

## საქართველო მოდერნიზებული საბჭოთა კავშირია ②

ეკლესია

# რუსეთისა და საქართველოს პატრიარქების შეხვედრის შესაძლებლობას არ გამოვრიცხავ

**გაზეთი „კომერსანტი“ რუსეთში საქართველოს ყოფილ ელჩს ზურაბ აბაშიძეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის მოსკოვში ამასწინანდელ ვიზიტზე ესაუბა.**

**— რამ ჩამოგიყვანათ მოსკოვში?**

— მოსკოვში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის შემადგენლობაში ჩავედი. აღსანიშნავია, რომ ჩვენი დელეგაცია მოსკოვში 2008 წლის ომის შემდეგ პირველად იმყოფებოდა. ომის დროსაც კი ეკლესიებს შორის კავშირი არ გაწყვეტილა. ისინი ორი ეკლესიის მეთაურთა პოზიციის წყალობით შენარჩუნდა, რომელთაც თბილი ურთიერთობები დიდი ხანია, აკავშირებთ. მე იმ ადამიანთა რიგებში ვითვლები, რომელთა აზრით, ეს კავშირები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს — იმ პერიოდში, როდესაც სახელმწიფოებრივ დონეზე ყველანაირი კონტაქტი პრაქტიკულად გაწყვეტილია, — რა თქმა უნდა, თუ არ ჩავთვლით ჟენევის ფორმატს, თუმცა ისიც თავისი პრობლემატიკით საკმაოდ შეზღუდულია.

**— თვლით, რომ ეკლესიას შეუძლია, პოლიტიკურ დიალოგზე გავლენა მოახდინოს?**

— ეკლესიები პოლიტიკურ ურთიერთობაზე პირდაპირ გავლენას ვერ მოახდენენ, — ეს მათი ფუნქცია არ არის. თუმცა მათ ფონის გაუმჯობესება და შექმნილი ჩიხური სიტუაციიდან რაიმე სახის გამოსავლის ძიების ხელშეწყობა შეუძლიათ და ამის გაკეთებას ცდილობენ კიდეც. ისინი პოლიტიკოსებს მაგალითს აძლევენ. ეს ურთიერთობები იდეალური არ არის, თუმცა ისინი ცდილობენ, დიალოგის და კონტაქტების გზით არსებული პრობლემები ეტაპობრივად მოხსნან.



**— როგორი იყო ვიზიტის დღის წესრიგი?**

— ვიზიტის დროს ძირითადად ეკლესიათაშორისი ურთიერთობების საკითხები განიხილებოდა. ამასთან, დელეგაციამ ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელობისადმი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვა ჩაიტანა, რომელშიც კერძოდ, იმაზეა საუბარი, რომ კავკასიაში ძალიან რთული სიტუაციაა შექმნილი. ეს არის ჩრდილოეთ კავკასიის, მთიანი ყარაბაღის და რა თქმა უნდა, საქართველოს ტერიტორიის პრობლემის გადაწყვეტის სიტუაცია. მთელი რეგიონი შეყენებულ ჩახმახს მოგვაგონებს. საქართველოსთვის ამ რთულ სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს სახელმწიფო დონეზე დიალოგის არარსებობის ფაქტი. ახლა ერთმანეთს შორის მტრობის დრო არ არის და საჭიროა, მომავლისკენ გავიხედოთ და შორსმჭვრეტელობა გამოვიჩინოთ. ჩვენი პატრიარქი მხარეებს მოუწოდებს, გამოიჩინონ ვაჟკაცობა და სხვადასხვა დონეზე კონტაქტები დაიწყონ. საქართველოსა და რუსეთს კავკასიის რეგიონში განსაკუთრებული ისტორიული პასუხისმგებლობა აქვთ.

**— ნუთუ, გჯერათ, რომ მსგავს კონტაქტებს მართლაც შეუძლიათ რაიმეს მოტანა ურთიერთობებისთვის, როცა ლიდერების მხრიდან შესაბამისი სურვილი არ არსებობს? ჟენევის დისკუსიები უკვე ამდენი ხანია მიმდინარეობს, თუმცა რაიმე ხელშესახები შედეგი ჯერ არ გამოუღია...**

— პატრიარქი მხარეებს არა დაუყოვნებლივი დაზავებისკენ, არამედ იმისკენ მოუწოდებს, რომ რეგიონში არსებულ სიტუაციას სათანადო ყურადღება მიაქციონ და დიალოგი დაიწყონ. საუბარია ძალიან უბრალო თემებზე. მაგალითად, ვიღაცეებს აქვთ ეჭვი, რომ საქართველო სოჭის ოლიმპიადის ჩაშლას აპირებს ან ჩრდილოეთ კავკასიაში რაღაც ულირსს აკეთებს. გამოდის, საჭიროა, ორი ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები შეხვდნენ და ეს ეჭვები მოიხსნას, ან წარმოდგენილ იქნას ფაქტობრივი მასალა, თუ ასეთი ნამდვილად არსებობს. შესაძლებელია, ერთმანეთს პარლამენტარებიც შეხვდნენ. და ბოლოს, თუ პოლიტიკოსებმა არ იციან, რის შესახებ ისაუბრონ, შესაძლოა, ის ადამიანები, რომლებიც თავს ექსპერტებს უწოდებენ, შეხვდნენ და მოიფიქრონ, როგორი გამოსავალი იპოვონ შექმნილი მდგომარეობიდან. მესმის, რომ სიტუაციის შეფასება განსხვავებულია, ისევე, როგორც ხედვები იმისა, რა მოხდა 2008 წლის აგვისტოში, თუმცა საჭიროა პოლიტიკური კონიუნქტურიდან გასვლა. არ მინდა, საქართველოს მნიშვნელობა გადავაჭარბო, თუმცა საერთაშორისო თანამეგობრობა რუსულ-ქართულ ურთიერთობებში რაღაც შემობრუნებას ელის. ასეთი პოზიტივი საქართველოს მიმართულებით კარგი ნიშანი იქნებოდა და სხვათა შორის, რუსეთის ავტორიტეტის ამაღლებას შეუწყობდა ხელს.

იხ. 4 გვ.

ანგარიში

# საქართველო კიდევ უფრო დაშორდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკას

## რა გზით ცდილობს ხელისუფლება დასავლეთთან ინტეგრაციას?

**ყველაზე წარმატებული პოსტსაბჭოთა ქვეყანა, სადაც დემოკრატიის მაღალ ხარისხზე არავინ დავობს, — დაახლოებით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ საქართველო, გამომდინარე მიხეილ სააკაშვილის სიტყვებიდან. დასავლეთი ჩვენით უნდა ამაყობდეს, მაგრამ რეალობა გაცილებით სხვაა, უფრო დრამატული...**




როგორ ასრულებს საქართველო ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმას, რომელმაც დემოკრატიისა და სამართლიანობის თვალსაზრისით ნამდვილად უნდა შეცვალოს ქვეყანა უკეთესობისკენ? ამის შესახებ საკმაოდ ვრცელი და მოცულობითი ანგარიში მოამზადა ფონდმა **„ღია საზოგადოება — საქართველომ“** რამდენიმე პარტნიორთან ერთად. ანალიზის პრეზენტაცია სასტუმრო „თბილისი-მარიოტში“ გაიმართა, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები, ჟურნალისტები და რამდენიმე ქვეყნის ელჩები დაესწრნენ.

ანგარიში ეხება ისეთ საკითხებს, რომლებიც დღესაც პოლიტიკურად აქტუალურია და იმ მიზნებს, რომელიც განისაზღვრა შემდეგ დოკუმენტებში: ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, 2010 წლის საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმა, 2009 წელს საპრეზიდენტო განცხადებით მოწონებული „დემოკრატიული რეფორმის“ ახალი პაკეტი, ასევე ევროკომისიის მიერ მომზადებული 2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიშები. დეკლარაციულ დონეზე პროგრამას არსებითად უნდა გაეუმჯობესებინა ვითარება, თითქოს მოდერნიზაციის პროცესები დაიწყო კიდეც, მაგრამ შედეგი, რომელსაც საზოგადოება ელოდა, მიუღწეველია.

როგორც ფონდის დირექტორი **ქეთი ხუციშვილი** ამბობს **„2010 წელს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული ცვლილებები უნდა შეხებოდა შემდეგ პრიორიტეტულ საკითხებს: ახალი კონსტიტუციის მიღებას, ცვლილებებს საარჩევნო კოდექსში, საჯარო საფინანსო მართვის სისტემის რეფორმას, სიღარიბის შემცირებას, თავისუფალ მედიას, ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის განვითარებას საქართველოში არსებული შიდაკონფლიქტების მოსაგვარებლად. თითოეული მიმართულების ანალიზზე ექსპერტებმა იმუშავეს და თითქმის ყველა სფეროში აღმოჩნდა, რომ პროგრესი დაწყებულია, მაგრამ ბოლომდე არც ერთი არ არის მიყვანილი“.**

იხ. 4 გვ.

შეხვედრა

# ეუთო დაგვიანებული „სასწრაფოს“ როლში

**საქართველოს ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივანი ნესტან კირთაძე იმედს გამოთქვამს, რომ ეუთო საქართველოში „დაგვიანებული სასწრაფო დახმარების“ როლის შესრულებას აღარ გააგრძელებს.**



— ეუთოს მოქმედ თავმჯდომარესთან შეხვედრაზე ვისაუბრე ქვეყანაში არსებულ კრიტიკულ ვითარებაზე და იმ გამოწვევებს და პრობლემებზე, რომლის წინაშეც დგას ქართველი ხალხი, საქართველოს მოქალაქეები, მათ შორის, ხაზგასმით აღვნიშნე, რომ დღეს საქართველო სოციალური აფეთქების ზღვარზე იმყოფება. გამოწვევა ბევრია, მათ შორის გადაულახავი პრობლემა ჩვენი სახელმწიფოებრიობის, ერთიანობისა და სუვერენიტეტის, სოციალური სამართლიანობის, თავისუფალი მედიის, სასამართლოსა და ბიზნესის პრობლემები, მაგრამ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების დღის წესრიგში დღეს ყველაზე მთავარ საკითხად განიხილება სააკაშვილის ერთპარტიული რეჟიმის შეცვლა. საქართველოს ლეიბორისტული პარტია სწორედ ამ უკანასკნელს განიხილავს, როგორც მთავარ პრობლემას და მას განიხილავს, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემის ჭრილში... იმედს გამოვთქვამ, რომ ეუთო საქართველოში „დაგვიანებული სასწრაფო დახმარების„ როლის შესრულებას აღარ გააგრძელებს, როდესაც ამ ორგანიზაციის თუნდაც კრიტიკული დასკვნები და რეკომენდაციები გავლენას ვერ ახდენენ და ვერ ცვლიან პოლიტიკურ რეალობას ქვეყანაში, — აცხადებს კირთაძე, რომელიც ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად აუდრონიუს აჟუბალისს შეხვდა.

ამასთან, მისივე განმარტებით, ეუთოს მოქმედ თავმჯდომარეს საქართველოს ლეიბორისტული პარტიის 4 ახალი ინიციატივაც გააცნო, რომლის განხორციელების გარეშეც „არ იარსებებს საქართველოში თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები“.

— ჩვენი ინიციატივები პირდაპირ უკავშირდება არა უბრალოდ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას, არამედ ყველაზე მთავარ პრინციპს — **„ქართველმა ხალხმა უნდა დაიბრუნოს ერთპარტიული რეჟიმისაგან მიტაცებული ხალხის ძალაუფლება“,** — აღნიშნა მან.

ამასთან, ნესტან კირთაძის თქმით, მან ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის შეკითხვასაც უპასუხა, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს შეეხებოდა და აღნიშნა, რომ **„საქართველოს ლეიბორისტული პარტია აქტიურად უჭერს მხარს საქართველო-რუსეთს შორის დიალოგის დაწყებას“.**

ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის, ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის აუდრონიუს აჟუბალისისა და ოპოზიციის წარმომადგენლების შეხვედრა სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გაიმართა. მას ნესტან კირთაძის გარდა, „ახლების“ წარმომადგენელი მანანა ნაჭყებია, „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი და ირაკლი ალასანიას პარტიის წევრი ირაკლი ჩიქოვანი ესწრებოდნენ.

ჯი-ეიჩ-ენი

ინფორმაცია

## საქართველო მოდერნიზებული საბჭოთა კავშირია

**„დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის შეფასებით, საქართველო მოდერნიზებული საბჭოთა კავშირია.**

**„დასავლეთის მხრიდან ადეკვატური რეაგირება გვჭირდება იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანას პრაქტიკულად ნეობოლშევიკები მართავენ და საქართველო მოდერნიზებული საბჭოთა კავშირია, — განუცხადა ბურჯანაძემ ჟურნალისტებს ეუთოს მოქმედ თავმჯდომარესთან შეხვედრის დასრულების შემდეგ.**

**მისივე განმარტებით, ქართველი ხალხი საქართველოში შექმნილი ვითარების მოთმენას აღარ აპირებს.**

## ნოღაიდელი რუსეთში გაემგზავრა

**„სამართლიანი საქართველოს“ ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი რუსეთში გაემგზავრა.**

**როგორც ნოღაიდელმა ჟურნალისტებს თავად განუცხადა, ამჯერად პოლიტიკური შეხვედრების გამართვა არ იგეგმება და მოსკოვში მორიგი ვიზიტის ფარგლებში ის მხოლოდ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდება.**

**საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის თქმით, ის ქართული დიასპორისთვის მნიშვნელოვანი ინიციატივის გაცნობას გეგმავს, რომელსაც მედიასთან საუბარში ამ ეტაპზე არ აკონკრეტებს.**

**წინასწარი ინფორმაციით, ზურაბ ნოღაიდელი რუსეთის დედაქალაქში კვირის ბოლომდე დარჩება.**

ჯი-ეიჩ-ენი

კორუფციის საცეცები

**პარლამენტში გამოსვლისას ქვეყნის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველოში კორუფციასთან ბრძოლა წარმატებით მიმდინარეობს. ოპოზიციამ კი წამოიკნავლა, სახელმწიფო შექამა მაღალჩინოსანთა გაუმაძღრობამო, მაგრამ როდესაც სააკაშვილმა ელიტიდან კორუფციაში ჩაბმის თუნდაც ერთი მაგალითის დასახელება მოითხოვა, კრიტიკოსთაგან ვერც ერთმა ვერ გაბედა ამის გაკეთება.**

**შეშინებული ოპოზიციონერები ვერც დაასახელებდნენ კონკრეტულ პირებს, რადგანაც ყველაფერი ისე შენიღბულად, კანონის რანგში ხდება, რომ მართლაც ძნელია ვინმეს წარმოჩინება. კორუფციის წყარო მომპალი სისტემაა, რომელსაც ამოფარებული არიან უმაღლესი ეშელონები და თავს მშვიდად გრძნობენ.**

## საპროცესო გარიგება – კორუფციის წყარო

**დღეს ქვეყანაში ბევრად მეტია საპროცესო გარიგებების შედეგად განთავისუფლებული, ვიდრე პატიმარი. ხელისუფლება გვიმტკიცებს, რომ საპროცესო გარიგებიდან შემოსული თანხები ბიუჯეტში შედის და ისევ მსჯავრდებულთა კეთილდღეობას ხმარდება. თუ არასამთავრობოების დამცველებს დავუჯერებთ, კეთილდღეობის რა მოგახსენოთ, პროგრესი კი აშკარაა.**

ბიუჯეტის დამტკიცებაზე სიტყვით გამოსულმა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა განაცხადა, რომ ბიუჯეტში საპროცესო გარიგებებიდან 30 მილიონი ლარია მობილიზებული. ბაინდურაშვილი არ მალავს, რომ გარიგებიდან შესული თანხები სპეცანგარიშზე ირიცხება, რომელიც მკაცრად გასაიდუმლოებულია და მხოლოდ რამდენიმე პირს მიუწვდება მასზე ხელი (მინისტრმა არ დაასახელა ამ ყოვლისშემძლეთა ვინაობა). ქვეყნის № 1 ფინანსისტმა ისიც აღნიშნა, რომ სპეციალურ (ე. წ. სატრანზიტოძ ანგარიშზე მოხვედრილი თანხები მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ხვდება ბიუჯეტში.

ბაინდურაშვილმა განმარტა, რომ საპროცესო გარიგებებიდან მიღებული თანხები ბიუჯეტში გრაფით „სხვა შემოსავლები“ ფიქსირდება.

მინისტრი იმასაც აღნიშნავს, რომ იმის წინასწარი დაგეგმვა, თუ რა რაოდენობის თანხა შევა სახელმწიფო ხაზინაში, შეუძლებელია, რადგან უცნობია საპროცესო გარიგებების წინასწარი რაოდენობა და თანხა. ამის გამო ბიუჯეტში ყოველთვის უფრო ნაკლები თანხა იგეგმება, ვიდრე შემოდის. როგორც ჩანს, სასამართლო და პროკურატურა კომუნისტური დევიზით მოქმედებენ: გეგმა – გადაჭარბებით. მაგრამ ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ განსასჯელთაგან გაცილებით მეტი თანხა შედის, ვიდრე ეს სპეცანგარიშზე ან ბოლოს ბიუჯეტში ირიცხება. სად მიდის ეს ფული, ყველასათვის უცნობია.

სამაგიეროდ ყველასთვის ცნობილია, რომ სასჯელის აღკვეთის ადგილებში შესული სიგარეტი და სხვა პროდუქტი კონტრაბანდისტებისთვის არის წართმეული. ციხე-კოლონიებში კი ტუსაღებს კომერციულ ფასად ასყიდებენ. სად მიდის შემოსული თანხა, არავინ იცის.

თავისუფალი რეჟიმის კოლონიებში პურს ადგილობრივ ბინადართ აცხობინებენ, შემდეგ კი მათზევე ჰყიდიან კომერციულ ფასად. თუ სად მიდის შემოსული თანხები, კაცმა არ იცის.

ხათუნა კალმახელიძემ მსჯავრდებულთა გატყავების ახალ მეთოდს მიაგნო: – თუ მსჯავრდებულის ოჯახი ბათუმში ცხოვრობს, ის კი თბილისში, გლდანში იხდის სასჯელს, ცხადია, ახლობლებს არ ექნებათ ხშირი ვიზიტის საშუალება. აქედან გამომდინარე, სასჯელის აღსრულების დეპარტამენტმა მიმდინარე წლის მარტიდან ცხოვრებაში უნდა დანერგოს ვიდეოპაემნები. დაკავებულის ახლობელი მიდის პრობაციისა და სასჯელის აღსრულების დეპარტამენტში, წერს განცხადებას და მას უფლება ეძლევა ვიდეოაპარატურის მეშვეობით ინახულოს ოჯახის წევრი, ნათესავი, მეგობარი. ვიდეოპაემანი 15-წუთიანია და 15 ლარი ჯდება. ეს ნორმაშია და არ დაიშვება დროის ხანგრძლივობისა და თანხის რაოდენობის შეცვლა, – განგვიმარტავს სასჯელაღსრულების სამინისტროს პრობაციის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილე გიორგი არსოშვილი. თუმცა ჩინოსანი გვერდს უვლის საკითხს, თუ რომელი უწყების ანგარიშზე დაჯდება ეს თანხა და რა სახით შევა ბიუჯეტში. ასევე უცნობია, სად წავა გრძელვადიანი პაემნების (24 სთძ. შედეგად თითოეული მნახველის მიერ გადახდილი 60 ლარი.

# დახმარება ტუავრუსათვის(?!)

## ორგანიზატორები კორუმპირებულებს ვერ ასახელებენ, კორუფცია კი ყვავის

### სხვის უბედურებაზე აშენებული ბედნიერება

**საკუთარი მიწიდან ერთხელ იძულებით აყრილი თავისი მოსახლეობა ხელისუფლებამ ხელმეორედ გახადა დევნილი. თავის დროზე ამ კატეგორიის მოსახლეობისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებმა და არასამთავრობოებმა სოლიდური თანხები გამოყვეს თითოეული ასეთი ოჯახისთვის კომპენსაციების დასარიგებლად.** თანხები მხოლოდ სუბელიანის რჩეულთ დაურიგდათ, – აცხადებს დევნილთა ასოციაცია „მშვიდობისათვის“ დამფუძნებელი რამაზ გერლიანი – 10 ათასი დოლარის ეკვივალენტი ლარებში ის თანხაა, რომელსაც დევნილები ადგილებზე დასაფუძნებლად რალაცაში გამოიყენებდნენ. მაგრამ დევნილებისათვის თანხას ვინ გაიმეტებდა. ლტოლვილთა სამინისტროს სიებში დევნილთა ასოციაციამ ისეთი პიროვნებებიც აღმოაჩინა, რომლებიც კომპენსაციების გაცემის მომენტში არასრულწლოვანები იყვნენ. სუბელიანის უწყებას ისინი ცალკე ოჯახებად ჰყავს დაფიქსირებული და ამის მიხედვით არის კომპენსაციები გაცემული. მაშინ, როდესაც ათასობით ოჯახი მოლოდინშია, რომ იტყვიან,, კარის ატალახების“ შემდეგ რაღაც ნაწილს ორგზის დევნილებისა, კომპენსაციები დაურიგეს. გერლიანის განმარტებით, ჩინოვნიკებმა აქაც მიაგნეს საკბილოს. კარგა ხნის შემდეგ გაცემულ თანხაზე ლტოლვილებს ეუბნებიან, რომ გადახდა მოხდება წინანდელი კურსით 1 დოლარი – 1, 14 ლარი, 10 დოლარში 2010 წ. არსებული კურსის მიხედვით იძულებით ადგილნაცვალ პირთათვის უნდა მიეცათ 16650 ლარი, მისცეს კი 10140.



ასოციაციის დამფუძნებელი იმასაც გვიხსნის, რომ 2009 წელს დევნილთა სარეაბილიტაციო თანხები გუბერნატორებსა და გამგებლებს დაურიგდათ. მათ ნაწილი სახელმწიფოს დაუზოგეს. შემორჩენილით კი ისეთი ობიექტები ვითომ შეაკეთეს, რომლებიც იაფი დაჯდა. ასე რომ, სუბელიანის უწყებამ გაჭირვებული ხალხის ფულიდან რწმუნებულებსა და გამგებლებსაც არგუნა რაღაც.

სუბელიანის უწყება თანხების ახალ შემოდინებას ელოდება. ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებულია, გვყავს ორგზის დევნილები აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან. ფერღანიდან დევნილთა ნაწილიც საქართველოში შემოდის, ამას ემატება იძულებით ადგილნაცვალთა კონტინგენტი პანკისის ხეობაში. ასეთ ვითარებაში სახელმწიფო ზეჰუმანიტარული მისიის მქონეა. ხელისუფლებას აქვს უფლება დახმარებისთვის ხელი გაიშვიროს, იშვერს და ღებულობს კიდევაც, მაგრამ იყენებს არა დევნილების სასარგებლოდ, – აცხადებს პარლამენტარი უმცირესობიდან დიმიტრი ლორთქიფანიძე.

საინტერესოდ ხსნის ბურების ჩამოსახლებისადმი ჩვენი ელიტის დაუოკებელ სწრაფვას ანალიტიკოსი მერაბ რიჟამაძე. მისი განმარტებით ეს იმდენად სააკაშვილის ხუშტურები ან მისი ცოლის კაპრიზების მიზეზი არ არის. საქმე ისაა, რომ ყველაფერი ამის უკან დგანან ქართული მაფიოზური კლანები და ოლიგარქები. საქმე ის არის, რომ ბურების ჩამოსახლებას აუცილებლად მოჰყვება ფულადი დახმარებები. ბურებს, როგორც ჰოლანდიელთა შთამომავალთ (ეს ქვეყანა კი ევროკავშირის წევრიაძ, აუცილებლად მოჰყვება ოფიციალური ფულადი დახმარებები ევროკავშირიდან და სხვა ქვეყნებიდან. ჯიბეზე ხელს გაისვამენ მსოფლიო და ევრობანკები, საერთაშორისო არასამთავრობო ჰუმანიტარული ორგანიზაციები. უდიდესი იქნება ფულად-საკრედიტო დახმარებები ჰოლანდიიდან.

რიჟამაძის განმარტებით სააკაშვილს უბრალოდ ტვინს ურევენ, რომ ეს მისი, როგორც დემოკრატიისა და ჰუმანიტარის იმიჯს ერთი ათად გაზრდის, ბურები ააყვავებენ საქართველოში ფერმერულ საქმეს და ქართველ გლეხს მუშაობას ასწავლიან, – ჩასჩიჩინებენ ისინი ქვეყნის № 1 პირს. პირველ ლედის კი კუდს უქიცინებდნენ და მისი ეროვნების ხალხისადმი უდიდესი პატივისცემის გრძნობას უმტკიცებენ. სინამდვილეში კი მათ მერკანტული გრძნობები ამოძრავებთ (მაფიას, ოლიგარქებსძ და ახალი მილიონების შოვნის პერსპექტივას ხედავენ.

### 3 ათასის ნაცვლად – 30 ათასი

**ყოფილი სამხედრო კომისარიატების გაუქმებით ხელისუფლებამ გამწვევ პუნქტებში არსებულ კორუფციასთან ბრძოლა დაიწყო. ამას მოჰყვა სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გადავადებისათვის 2-ათასლარიანი გადასახადის დაწესება. ამ ნაბიჯებმა კორუფცია არა მხოლოდ მოაშთო, უფრო ფართო გაქანება მისცა, – გვიყვება შეიარაღებული ძალებიდან უმიზეზოდ დათხოვნილი ოფიცერი, რომელმაც გასაგები მიზეზების გამო ვინაობის დასახელებისგან თავის შეკავება გვთხოვა.**

ინკოგნიტო რესპონდენტის გადმოცემით, შარშან საქართველოს გასაწვევი ასაკის 30 ათასი ყმაწვილი ჰყავდა. სინამდვილეში კი ჯარში გაიწვიეს 3 ათასზე ოდნავ მეტი. სახელმწიფოს უბრალოდ უფრო დიდი კონტინგენტის შენახვის ფინანსური შესაძლებლობა არა აქვს. სად წავიდა დაახლოებით 27 ათასი გასაწვევი? – კითხულობს დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურე და იქვე ამატებს – ოფიციალური მონაცემებით, გადავადების თანხა – 2 ათასი ლარი გადაიხადა მხოლოდ 160 კაცმა.

ცხადია, რომ სააკაშვილის ხელისუფლება, რომელიც არავის არ პატიობს თანხებს, არც ამ ბიჭებს დატოვებდა უყურადღებოდ. გამოდის, რომ სოლიდური თანხებია აკრეფილი მათი ჯარისაგან დახსნისათვის. სად წავიდა ეს თანხები, ბიუჯეტში თუ მაღალჩინოსანთა ჯიბეებში, საზოგადოებას უკვე აღარ აინტერესებს, რადგანაც ხალხმა კარგა ხანია იცის, რომ ბიუჯეტი არის „ნაციონალების“ ყულაბა და მას „ვერხუშკა“ საკუთარი შეხედულებისამებრ იყენებს. კორუფციული გარიგებებით კი კმაყოფილნი არიან ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები, წვევამდელთა გამწვევ პუნქტებში დასაქმებული საშუალო დონის ჩინოვნიკები და, რაც მთავარია, წვევამდელები და მათი ოჯახის წევრები, – ასკვნიან სამხედრო ექსპერტები.

ჩვენი რესპონდენტის აზრით, გასაწვევთაგან ფულის შემოსვლა რომ უფრო ცენტრალიზებული იყოს, თავიდან მოიშორეს გასაწვევთა სამედიცინო კომისიები. მიზეზი ჩინოვნიკების განმარტებით ერთია – სახელმწიფოს ამგვარი ინსტიტუტების შენახვა ძვირი – 8 ათასი ლარი უჯდება.

### ერთი ჯიბიდან – მეორეში

**სამედიცინო სფეროში სადაზღვევო კომპანიების მხრიდან ბიუჯეტის თანხების მითვისებაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ჩვენ მხოლოდ იმ ჩამონათვალს შემოგთავაზებთ, თუ ვის რამდენი გამოეყო, გახარჯა და რამდენი „მოტეხა“.**

სულ ბიუჯეტიდან გაცემულია 284 მლნ ლარზე მეტი, მოსახლეობაზე გახარჯული 114 მლნ. 500 ათასზე მეტი. მოგებამ შეადგინა 60 პროცენტი; აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში კომპანიების მიერ სამედიცინო დაზღვევაზე გაცემული მოგების რაოდენობა არ აღემატება 4 პროცენტს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩამოთვლილთა უმეტესობა წარმოადგენს მედიკამენტების მწარმოებელ და შემომტან კომპანიებსაც, ადვილი გასაგებია, თუ მონოპოლიზმის რა სახეობასთან გვაქვს საქმე. კონტროლის პალატის წარმოდგენილი მასალებით გამოვლენილია სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივად ხარჯვის მაგალითი, რაც, სპეციალისტთა დასკვნით, სისხლის სამართლის დანაშაულია.

ერთი პირობა მომხდარის გამო აჟიოტაჟი ატყდა. ის მალევე ჩაცხრა. სადაზღვევო კომპანიების უკან ხომ ხელისუფლების ელიტა დგას. არაფერი ისეთი არ მომხდარა – „ნაცებმა“ ბიუჯეტის ფული ერთი ჯიბიდან მეორეში გადაიტანეს: ხაზინას ხომ ისინი განკარგავენ განუკითხავად.

### რუკაზე არარსებული ქვეყანა

**ცნობილია, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებისა და სახელმწიფო მნიშვნელობის ხარჯების გაცემას უშიშროების საბჭო აკონტროლებს. დღეს ამ უწყებას გიგა ბოკერია ხელმძღვანელობს, მაგრამ სპეციალისტთა განცხადებით ბიუჯეტის სახსრები არამიზნობრივად იხარჯება.**

ცოტა ხნის წინათ ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა ნოდარ ჯავახიშვილმა შეისწავლა პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გახარჯული თანხების მართლზომიერება. ყოფილი №1 ბანკირის განმარტებით ამ ფონდებიდან უშიშროების საბჭოს მიერ 19 მლნ 500 ათასია არამიზნობრივად, ე. წ. „შავი ხვრელების“ მეშვეობით დახარჯული.

ექს-პრეზიდენტს ვერ გაუგია, როდის გამოიყო ჩვენი სარეზერვო ფონდებიდან დახმარება სტიქიით დაზარალებული ყირგიზეთის, ჰაიტისა და პაკისტანის მოსახლეობისთვის. ჯავახიშვილს ვერ გაუგია, რატომ გამოეყო ტუავრუს სახელმწიფოს დახმარებისათვის რამდენიმე მილიონი დოლარი. ეს სახელმწიფო არ არსებობს. დღესაც კი ვეძებ რუკაზე და ვერ მიპოვია, აცხადებს ეროვნული ბანკის ყოფილი მმართველი.

ცხადია თანხების დიდი ნაწილი სააკაშვილის ხუშტურებსა და ტაშ-ფანდურებში იხარჯება. მისი ამ სისუსტეებით კი ბევრი ითბობს ხელს, აცხადებენ ანალიტიკოსები.

**ზაზა ბილიხოძე**

ეკლესია

# რუსეთისა და საქართველოს პატრიარქების შეხვედრის შესაძლებლობას არ გამოვრიცხავ

(მეორე გვერდიდან)

**— რამდენად შეიძლება, საქართველომ რუსეთთან დიალოგის შესახებ პატრიარქის მოწოდებას მხარი დაუჭიროს? პრეზიდენტი სააკაშვილი ხომ ხშირად ამბობს, რომ დიალოგის დასაწყებად მთავარი პირობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის ფაქტის აღიარებაა...**

— პატრიარქი საქართველოში ყველაზე ავტორიტეტული და პატივსაცემი ადამიანია. პრეზიდენტის ადმინისტრაცია მის მიმართვას მეორე დღესვე გამოეხმაურა და განაცხადა, რომ პატრიარქის მიმართვას სრულად უჭერს მხარს. ვფიქრობ, ამ მიმართულებით რაღაც ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა მოსახლეობის უმრავლესობასაც ესმის. საუბარი არ არის იმაზე, რომ ჩვენ ერთმანეთის ხვევნაში გადავეშვათ და ყველას იმას ვეკითხებოდეთ, რა მოხდა. ამისთვის, ალბათ, დროა საჭირო. ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც რუსეთია, 2008 წლის ომი დრამატული მოვლენაა, თუმცა მანამდეც და მას შემდეგაც ბევრი მნიშვნელოვანი რამ იყო, თანამედროვე საქართველოსთვის კი ქრონოლოგია სწორედ 2008 წლიდან იწყება. ასე რომ, ძალიან რთულია ყველაფერ იმის დავიწყება, რაც მოხდა. თუმცა ახლა უბრალოდ თვითშენარჩუნების ინსტინქტს უნდა მოვუსმინოთ — ჩვენთანაც და თქვენთანაც და განსაკუთრებით კავკასიაში არსებული სიტუაცია გავითვალისწინოთ.

**— შესაძლებელია თუ არა, ორი ქვეყნის პატრიარქებმა პოლიტიკოსებს პირადი შეხვედრის მაგალითი მისცენ?**

— ისინი ისედაც მუდმივად ეკონტაქტებიან ერთმანეთს. ჩვენი პატრიარქი მიტროპოლიტ კირილს ალექსი მეორეს გარდაცვალების დროს შეხვდა, რომელთანაც მას დიდი ხნის მჭიდრო კავშირები ჰქონდა. არ გამოვრიცხავ, რომ ორი ეკლესიის მეთაურთა ახალი შეხვედრა მართლაც გაიმართოს, — ესეც განხილვის თემაა. რამდენადაც მე ვხედავ, ორივე ქვეყნის ეკლესიები ძალიან ცდილობენ, მოვლენების ნორმალურ, ადამიანურ კალაპოტში დაბრუნებას ხელი შეუწყონ.

**— როგორი ზომების მიღება შეუძლიათ მხარეებს პირველ რიგში, ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის?**

— პირველი რიგის საკითხები უსაფრთხოებას შეეხება. უნდა განვიხილოთ, რა აშფოთებს რუსულ მხარეს და რა — ქართულს, მაგალითად, პრეზიდენტ მედვედევის გამონათქვამი იმის შესახებ, რომ „საქართველოს სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით არცთუ კარგი განზრახვები აქვს“. მე მესმის, რამდენად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ეს რუსეთისთვის. თუ რეალურად არსებობს რაიმე ფაქტები, სპეციალისტები უნდა დასხდნენ და განიხილონ, რამდენად საფუძვლიანია ისინი. მეჩვენება, რომ რუსეთში ჩვენი განცდების სიმეტრიულობა მთლად კარგად არ ესმით. საქართველოსთვის მსგავსი სახის ნებისმიერი განცხადება მორიგი აგრესიის საფრთხედ აღიქმება.

**— რისი გაკეთება შეიძლება ეკონომიკური კუთხით?**

— აქ ბევრი სასაუბრო თემაა. მაგალითად, რუსეთის მსო-ში გაწევრებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მრავალმხრივ ფორმატში მიმდინარეობს. საქართველოს აქვს თავისი პოზიცია, რომ ვიდრე განსაზღვრული საკითხები არ გადაწყდება, საქართველო რუსეთის ამ ორგანიზაციაში გაწევრებას მხარს არ დაუჭერს. აი, კიდევ ერთი განხილვის თემა და მსგავსი საკითხი ძალიან ბევრია! შარშან რიგი ზომები იქნა მიღებული მოქალაქეების, ტრანსპორტისა და ტვირთების გადაადგილებასთან დაკავშირებით ზემო ლარსის პუნქტზე. ესეც არ იყო უბრალო გადაწყვეტილება და საქართველოში ამის საწინააღმდეგო ხმები გაისმოდა, თუმცა საზღვარი გაიხსნა და ადამიანები გადაადგილდებიან. იგივეს თქმა შეიძლება საჰაერო მიმოსვლაზე — ჩვენ მოსკოვში პირდაპირი რეისით ჩავფრინდით. სხვათა შორის, რუსეთის მოქალაქეები ვიზას აეროპორტში იღებენ და ამას ათი წუთი სჭირდება, ხოლო ქართველის მიერ რუსული ვიზის მიღება დღემდე მთელი ისტორიაა. ამასთან, საქართველომ უფრო შემსუბუქებული რეჟიმი შემოიღო ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებთათვის. რა იმალება ამის უკან და რატომ გაკეთდა ეს, ასევე განხილვის თემა შეიძლება გახდეს.

**— ბევრი ადამიანია მზად საქართველოში დიალოგისთვის?**

— არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ: „ტყუილად ცდილობთ, ეკლესიისა და სხვა კონტაქტების საშუალებით რუსეთი ურთიერთობის დამყარებაში დაარწმუნოთ“. ისინი ამბობენ, რომ რუსეთს საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობა არ სჭირდება და სურს, საქართველოს სახით მტრის ხატი ჰქონდეს, რომელსაც ყველა თავის წარუმატებლობას მიაწერს, მათ შორის — ჩრდილოეთ კავკასიაში. თურმე, რაც უფრო დიდი იქნება ეს წარუმატებლობა, მით მეტად საჭიროა ქვეყანა, რომელსაც ამ ყველაფერს მიაწერ. ამ ადამიანებთან კამათი ყოველთვის მარტივი არ არის, თუმცა მე ასე არ ვფიქრობ. მე ვფიქრობ, რომ რუსეთის ხელისუფლებაში არიან პრაგმატული ადამიანები, რომელთაც ესმით, რომ იმის გამეორება, რაც 2008 წლის აგვისტოში მოხდა, ნამდვილ კატასტროფად იქცევა და არა მხოლოდ საქართველოსთვის.

**მაკა ბრეგვაძე.**
**„პირველი“**

ინფორმაცია

## ებრაელ ბიზნესმენებს თავდებად დაუდგებიან

**„ეროვნული საბჭო“ საქართველოს ხელისუფლებას ებრაელი ბიზნესმენების რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის დაუყოვნებლივ გათავისუფლებისკენ მოუწოდებს.**

**— მათ დაკავებას მოჰყვა ისრაელსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დაძაბვა. ისრაელის ქნესეთის სპიკერის რეუვინ რივლინის კანცელარიამ ოფიციალურად დაადასტურა საქართველოს სპიკერის დავით ბაქრაძის ისრაელში დაგეგმილი ვიზიტის გადავადების მიზეზი — ებრაელი ბიზნესმენის „ფუქსის საქმე“ — ნათქვამია საბჭოს განცხადებაში.**



**ამასთან, „ეროვნული საბჭოს„ ლიდერების ზვიად ძიძიგურისა და კობა დავითაშვილის აზრით, ისრაელ- საქართველოს ურთიერთობების გაფუჭება ირიბად აისახება ქართულ-ამერიკულ და ევროპის წამყვან ქვეყნებთან ურთიერთობებზე, რაც შეიძლება საქართველოსთვის დიდი ზიანის მომტანი აღმოჩნდეს.**

**— უკვე დაზარალდნენ საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც ისრაელში ვიზის აღებასთან დაკავშირებით პრობლემები ექმნებათ და მოქალაქეები, რომელთაც მათთვის უცნობი მიზეზის გამო ასახლებენ ისრაელიდან. „ეროვნული საბჭოს“ ლიდერები თავდებში უდგებიან ებრაელ ბიზნესმენებს და შესაბამისი დოკუმენტით უახლოეს ხანში მიმართავენ შესაბამის სტრუქტურებს, — აღნიშნულია განცხადებაში.**

ჯი-ეიჩ-ენი

ანგარიში

# საქართველო კიდევ უფრო დაშორდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკას

(მეორე გვერდიდან)

ანგარიშზე მუშაობდნენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები: თამარ ხიდაშელი, თამარ პატარაია, მარიამ გაბედავა, ნინო დანელია, რევაზ საყევარიშვილი და სხვები.

როგორია 2010 წლის პოლიტიკური კონტექსტი? — **„ქვეყანამ დიდი წინსვლა ვერ აჩვენა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცედურების დანერგვა-გაძლიერების მხრივ, იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის კუთხით რეფორმებისთვის პირობები არსებობდა პირიქით, ქვეყანა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო პრიორიტეტებს კიდევ უფრო დაშორდა“.**

ექსპერტთა უმთავრესი კრიტიკის საგანია ახალი კონსტიტუცია, რომელსაც ისინი არა საპარლამენტო, არამედ საპრემიერმინისტრო სისტემას უწოდებენ.კონსტიტუციურ რეფორმებს უნდა უზრუნველეყო პოლიტიკურ ინსტიტუციებს შორის ეფექტიანი დაბალანსებისა და შეკავების პრინციპი, უნდა გაეზარდა პარლამენტის კონტროლი აღმასრულებელ ორგანოზე. თუმცა კონსტიტუციაში შესული შესწორებებით, ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანო ისევ დომინირებს პარლამენტზე. პრეზიდენტის ძალაუფლება მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ მისი ფუნქციების უმეტესობა პრემიერ-მინისტრზე გადავიდა. მაგალითად, პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია, საკანონმდებლო ორგანოებთან კონსულტაციის გარეშე მთავრობის მთელი შემადგენლობა შეცვალოს. ხოლო პარლამენტს არ შეუძლია, აიძულოს პრემიერ-მინისტრი, დაითხოვოს კაბინეტის რომელიმე წევრი. პარლამენტს პრემიერ-მინისტრისა და მისი მთავრობის ანგარიშზე ზემოქმედება უნდობლობის ვოტუმის მექანიზმის გამოყენებით შეუძლია (აღნიშნული პროცედურა სამ თვემდეც კი შეიძლება გაგრძელდეს), რამაც შესაძლოა, პარლამენტის საბოლოო დაშლამდე მიგვიყვანოს. პარლამენტს არ აქვს სამართლებრივი ძალა, რადგან მთავრობას უფლება აქვს, ვეტო დაადოს ნებისმიერ კანონპროექტს. ასევე სუსტია პარლამენტის როლი საბიუჯეტო პროცესებში, ანუ პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვის ხარჯზე გაძლიერდება პრემიერ-მინისტრი, ხოლო პარლამენტის როლი კიდევ უფრო დაკნინდება, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს დემოკრატიის გამოვლინებას.



როგორც ვთქვით, ანგარიში საკმაოდ ვრცელია, სადაც გაანალიზებულია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, სასამართლო სისტემის, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, საარჩევნო კანონმდებლობა, არაკონკურენტუნარიანი გარემო და ანტიმონოპოლიური სამსახურის არარსებობა, შრომითი კანონმდებლობა, რომელიც ახლოსაც კი არ არის საერთაშორისო ფუძემდებლურ პრინციპებთან, სურსათის უვნებლობის შეუსაბამობა ევრორეგულაციებთან, საკუთრების უფლების დაცვა და ა. შ.

**ამათგან გამოვყოფდი ჩვენი სფეროსთვის ყველაზე არსებით ასპექტებს. რა ხდება მედიის დამოუკიდებლობის რეფორმების მხრივ? — კანონპროექტი საქართველოს პარლამენტში შესულია, მაგრამ პაკეტის კომპლექსურ განხილვაზე უარი ითქვა. ჯერ ისევ შეზღუდულია საჯარო დაწესებულებებისგან ინფორმაციის მიღება, ხოლო ელექტრონული მედიიდან ობიექტური, სამართლიანი ფაქტების მიწოდება. პრობლემურია მარეგულირებელი კომისიის მუშაობა. მაგალითად, გასულ წელს არც ერთი ლიცენზია არ გაცემულა.** ხელისუფლებამ თავად გამოიჩინა ინიციატივა და თქვა, რომ მედია კომპანიების მონოპოლიზაციას აკრძალავდა. მესაკუთრეთა ვინაობა, ამის მიუხედავად, კვლავ ბუნდოვანი რჩება. თუმცა ამ განცხადების შემდეგ გამოჩნდა ახალი მოთამაშე „ჯი-ემ-ჯი“, რომელიც ოფშორშია რეგისტრირებული და რომლის ხელში ექვსი დიდი არხი გაერთიანდება: „რუსთავი-2“, „იმედი“, „საქართველო“, „რეალ-TV“, „I სტერეო“ და „მიუზიქ-ბოქსი“. ბუნებრივია, ყველა ამ არხის ეთერის რეკლამა ერთ ხელში მოექცევა და ექსპერტთა ვარაუდით, პროპაგანდის საუკეთესო საშუალებად იქცევა.

მედიის მფლობელთა საკითხის შესახებ ორი კანონპროექტია პარლამენტში. ერთი მმართველი პარტიის მიერ წარმოდგენილი, რომლის მიხედვით ოფშორულ ფირმებს მხოლოდ 10 პროცენტით უნდა განესაზღვროთ სამაუწყებლო კომპანიის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მფლობელობა. ხოლო სამოქალაქო საზოგადოების წარდგენილი პროექტის მიხედვით საერთოდ უნდა აიკრძალოს მედია საშუალებების ოფშორული ფირმების მიერ ფლობა. დებატები ივნისამდე გაგრძელდება.

ხელისუფლებას ხელს არ აძლევს მედიაპლურალიზმი. ამის მაგალითია ის, რომ „GIG-ჯგუფი“ (მისი ერთ-ერთი დამფუძნებელია საქართველოს საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ძმაძ ფლობს „რუსთავი-2“-ის აქციათა 30 პროცენტს, „მზის“ — 45 პროცენტს, „სტერეოს“ — 65 პროცენტს. ხოლო ოფშორული „Degson Limited LLC“ ფლობს „მზის“ 55 პროცენტს, „რუსთავი-2“-ის 70 პროცენტს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მთავრობას საშუალება აქვს აკონტროლოს ქართული მედიასივრცე. ამიტომაც ყველა არხის საინფორმაციო გამოშვებები მსგავს ამბებს გადასცემენ, ხშირად ერთი და იგივე თანმიმდევრობით... ანგარიშში მიმოხილულია ბეჭდვითი მედიის პრობლემები. თუნდაც ის, რომ ეკონომიკის სამინისტრო ექსკლუზიურად მხოლოდ სამთავრობო გაზეთ „24 საათში“ აქვეყნებს ინფორმაციას ტენდერების შესახებ. ეს მმართველი პარტიის ერთგული გაზეთისთვის ფულის მიცემის ერთ-ერთი გზაა. ბუნებრივია, სხვა გაზეთებს საშუალება არ ეძლევათ, სახელმწიფო ფულისთვის ღია და თავისუფალ კონკურენციაში მიიღონ მონაწილეობა...

**...ელჩები გულისყურით უსმენდნენ ექსპერტთა შეფასებებს. ბოლოს საფრანგეთის ელჩმა ერიკ ფურნიემ შეშფოთებულმა იკითხა კიდეც, ნუთუ, ამ ქვეყანაში სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა და ყველაფერი „შავად“ არისო? რაზეც ქეთი ხუციშვილმა უპასუხა: „რა თქმა უნდა, ცვლილებები იყო, რაც უდავოდ საერთაშორისო თანამეგობრობის, თუნდაც ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის დამსახურებაა, მაგრამ ჩვენ იმ სისტემურ და პრობლემურ საკითხებზე ვიმსჯელეთ, რაც ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე ქვეყანას აუცილებლად სჭირდება. ჩვენ უფრო მეტს ვითხოვთ, ვიდრე ამას ხელისუფლება აკეთებს“...**

თეა მოსია

№ 49. ხუთშაბათი, 17 მარტი, 2011 წელი.

გლობუსი

# ერთი თარგით ყველასადმი მიდგომა შეცდომაა

**რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები, ე. წ. „გადატვირთვიდან" გამომდინარე, დათბობის ფაზაში შედის, რაც თავისთავად საქართველოს ცხოვრებაზეც აისახება. ორი ქვეყნის პოლიტიკოსთა შეხვედრების ამსახველი ტელესიუჟეტების მიხედვით ყველაფერი რიგზეა — სამედიო ღიმილი, სიცილიც კი, ერთმანეთის მიმართ მოზომილი ლექსიკა ამის დამადასტურებელია.**

არც ექსპერტები აყოვნებენ, ისინი ოპტიმიზმით ლაპარაკობენ მთელ რიგ საკითხებში აზრთა თანხვედრაზე — ავღანეთსა და ირანზე, ტერორიზმთან ბრძოლაზე, სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების შემცირებაზე, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსებაზე, სხვა ნაკლებმნიშვნელოვანზე. განსაკუთრებული აქტიურობა იგრძნობა რაკეტსაწინააღმდეგო ფარის შექმნასთან დაკავშირებით და ამ საქმეში რუსეთის ჩართვის თაობაზე. რუსეთს აქვს პრეტენზიები ამასთან მიმართებაში, რაც არაერთხელ გამოითქვა დელეგაციათა მოლაპარაკების დროს. აღნიშნული თემები კიდევ ერთხელ იქნა განხილულ-შეჯერებული აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ბაიდენის მოსკოვში სამდღიანი სამუშაო ვიზიტის დროს. მაღალი სტუმარი დაპირდა რუსეთის ხელისუფალთ დახმარებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლაში. რუსეთის ამ ორგანიზაციაში გაწევრების ბარიერად საქართველო მოიაზრება.

ქართული მხარე თანხმობის სანაცვლოდ მოითხოვს ფსოუსა და როკთან ქართველი მებაჟეების ჩაყენებას და თუ ეს არ მოხდა, საერთაშორისო დამკვირვებლების მაინც; გარდა ამისა, ქართულ პროდუქციაზე დაწესებული ემბარგოს მოხსნას. თუ ეს უკანასკნელი რუსეთის მხარისთვის, განხილვის თვალსაზრისით, მეტნაკლებად მისაღებია, პირველი სრულიად მიუღებელია და მას პოლიტიკურად მიიჩნევს. ბაიდენთან საუბრის დროს პრეზიდენტმა მედვედევმა სტუმრის ყურადღება მიაპყრო ქართული მხარის არარეალურ, პოლიტიკურ მოთხოვნაზე. ჩვენთვის უცნობია, რა პასუხი მიიღო მან. ვარაუდით შეიძლება ვთქვათ, რომ აშშ-ი მყოფ სააკაშვილს ამერიკული მხარე მიანიშნებს, როგორ მოიქცეს. არ არის გამორიცხული სააკაშვილის დაყოლიებაც. ფსოუსა და როკთან ქართველი მებაჟეების ჩაყენება მართლაც წარმოუდგენელია, ხოლო ემბარგოს მოხსნა — შესაძლებელი, თუმცა დიპლომატიური ურთიერთობის არქონა ამ საკითხის ცხოვრებაში გატარებაზე სერიოზულად იმოქმედებს. გარდა ამისა, საჭირო იქნება ქართული პროდუქციის, განსაკუთრებით ღვინის რუსეთისათვის მისაღებ სტანდარტამდე აყვანა.

რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში საქართველო განხეთქილების ვაშლად რჩება. და ალბათ ასე იქნება კარგა ხნის განმავლობაში, ვიდრე საქართველოს ხელისუფლება არ ჩამოშორდება პოლიტიკურ არენას.

ამერიკა-რუსეთს შორის სხვა საკამათო საკითხებიცაა, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან მსოფლიოში საკუთარი პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლა თავისთავად ითხოვს ერთმანეთისგან განსხვავებული პოლიტიკური კურსის გატარებას. ორი ქვეყნის ურთიერთობას ნაკლებად შეიძლება ეწოდოს მოკავშირული ან მეგობრული, ისეთი, როგორიც ამერიკას აქვს ევროკავშირთან, იაპონიასთან, სხვა ქვეყნებთან, ზოგიერთთა გამოკლებით, თუმცა მათთანაც კი იშვიათობას არ წარმოადგენს დაპირისპირება. მეგობრობა მეგობრობად, მაგრამ, როდესაც ქვეყნის ინტერესები მოითხოვს, უპირველესად საჭიროა საკუთარის შესრულება. ასეთ ვითარებაში სულაც არ არის გასაკვირი რუსეთ-ამერიკის კულუარული ქიშპი, ერთმანეთის წინააღმდეგ ახალ-ახალი გეგმების ქსოვა. სწორედ ასეთ კულუარულ თამაშშია ჩართული საქართველოს ხელისუფლება. მისი როლი არცთუ სახარბიელოა, ვინაიდან ორი დიდი ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულების ხარისხით იზომება. გაუმჯობესების შემთხვევაში საქართველოს დანიშნულება და მნიშვნელობა მკვეთრად შემცირდება.

**საქართველოს ხელისუფლებას, განსაკუთრებით სააკაშვილს აწყობს ორი ქვეყნის ურთიერთობის დაძაბვა, რაც უფრო ცუდი, მით უკეთესი სააკაშვილისთვის. და რომ ურთიერთობა იყოს ცუდი, სააკაშვილი დღენიადაგ ილვწის. ისიც ახალ-ახალ, ანტირუსულ, ავანტიურისტულ გეგმებს ქსოვს და მოუწოდებს ამერიკას, მას დაუჭიროს მხარი, მას დაუჯეროს ყველა საკითხში, რაც რუსეთს უკავშირდება. ამ ავანტიურისტულ პოლიტიკაში სააკაშვილი მარტო არ არის. მის გვერდში ამერიკელი პოლიტიკოსებიცაა მაკკეინის, ლიბერმანის, ბაიდენის, სხვათა სახით. სააკაშვილი გულით ასრულებს ამერიკელთა დავალებებს, რაც მისთვის აშკარად მომგებიანია, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე. ამერიკელთა მოთხოვნით საკაშვილმა უკიდურესობამდე დაძაბა რუსეთთან ურთიერთობა. მისი ხელისუფლებიდან ჩამოშორების ან წასვლის შემთხვევაში მრავალი წელი დასჭირდება ორი ქვეყნის ურთიერთობის აღდგენას.**




საქართველოს სხვა პრობლემებიც აქვს — განსაკუთრებით ეკონომიკურ-სოციალური, რაც თავისთავად რუსეთთან ცუდი ურთიერთობის გამოძახილია. მხოლოდ სააკაშვილის წასვლის შემდეგ თუ გახდება ცნობილი იმ უდიდესი ზარალის შესახებ, რაც მან და მისმა გუნდმა მიაყენა ორი ქვეყნის ურთიერთობას და საქართველოს. არც ერთ მომხდურს ისე არ გაუნადგურებია საქართველო, როგორც დღევანდელ ხელისუფლებას, მაგრამ შორეულ პარტნიორს ნაკლებად აღელვებს ეს. მისთვის მთავარია პიროვნების (სააკაშვილისძ ხელისუფლების სათავეში დიდხანს შენარჩუნება კავკასიაში საკუთარი საქმეების მოსაგვარებლად. საქართველოს ხელისუფალთა პოზიციების გასამყარებლად რას არ კადრულობს ამერიკელი პოლიტიკოსი თუ ბიზნესმენი, რა ხოტბას ასხამს კაცს, რომელმაც მრავალათეული წლით მუხლებზე დააჩოქა საკუთარი ქვეყანა. მარტო ტრამპის ამასწინანდელ შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვები რად ღირს. **ტრამპის ქებათა-ქება სააკაშვილის უნიკალურობის თაობაზე აშკარად მეტყველებს ამერიკელთა ფარისევლობაზე, უცოდინრობაზე, პიროვნების გაფეტიშებაზე და არა ხალხისადმი კეთილგანწყობაზე. ტრამპის ქებამ ბრეჟნევისდროინდელი ხოტბა გამახსენა. საბჭოთა ლიდერის მოჭარბებული ქებათა-ქების გამო ხალხს პერმანენტული გულისრევის განცდა ჰქონდა. მაშინ ძნელად წარმოსადგენი იყო, რომ ტყუილი ქება არც ამერიკელისთვისაა უცხო. დასტურად კონგრესში ამერიკის პრეზიდენტის ყოველწლიური გამოსვლაც კმარა — ყოველ ხუთ წუთში ფეხზე ამდგართა ტაში და ოვაციები პრეზიდენტის მარტივ, საყველპურო განცხადებებზე. ის, რომ ამერიკა ისეთი არ არის, როგორსაც თვითონ შორიდან გვიხატავდა, საქართველომ უკვე იცის. საქართველოში „ქართული" ხელისუფლების ხელით გატარებული პოლიტიკის შედეგად ამ ქვეყნისადმი ხალხის დამოკიდებულება უარყოფითობისაკენაა შეცვლილი, თუმცა, როგორც ჩანს, აშშ-ს ნაკლებად აღელვებს ეს. არც საქართველოში ამერიკის საელჩოს, არც უამრავ ამერიკულ ორგანიზაციას არ აინტერესებს რატომ აქვს ადგილი ასეთ ტენდენციას. საქართველოს ხელისუფალთა ან რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ან ოპოზიციის გადაბირება, ამერიკისადმი შექმნილ ნეგატიურ განწყობას ვერ შეცვლის. საქართველოში, ისე, როგორც ადრე სხვაგან, ამერიკისადმი ცუდი განწყობა კარგს არაფერს მოუტანს ორი ქვეყნის ურთიერთობას. აქაც მალე დადგება დრო ამერიკის საელჩოსთან ანტიამერიკული საპროტესტო აქციების, ამ ქვეყნის დროშების დაწვის და სხვა. ლათინური ამერიკის, აფრიკის, აზიის, სხვა ქვეყნებისადმი ერთი, ტრაფარეტული საზომით მიდგომა მოძველებული მეთოდია, ისევე, როგორც აფრიკის განათლების სისტემის საქართველოზე მორგება, ან ხალხის სანაცვლოდ ერთ პოლიტიკოსზე, ამ შემთხვევაში სააკაშვილზე ჩამოკიდება.**

ამას წინათ სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წინაშე გამოსვლის დროს ჰილარი კლინტონმა განგაშით აღნიშნა „ჩვენ ვიმყოფებით საინფორმაციო ომში და ამ ომს ვაგებთ". მან უკმაყოფილება გამოთქვა პროპაგანდისთვის დაფინანსების შემცირებაზე. განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქვა ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებით, სადაც ამერიკასთან მიმართებაში საზოგადოებრივ აზრს (ნეგატიურსძ აყალიბებენ სატელიტური ტელეკომპანიები — „ალ ჯაზირა" და სხვა. კლინტონმა ისიც აღნიშნა, რომ მკვეთრად გაიზარდა ირანის საინფორმაციო პროპაგანდა, რომ ირანის დიპლომატია აქტიურად მუშაობს ახლო აღმოსავლეთსა და არაბულ სამყაროში, რომ ირანს აქტიური კავშირები აქვს პალესტინის ჰამასთან, ლიბანის ჰეზბოლასთან, ახლო აღმოსავლეთში მცხოვრებ შიიტურ თემებთან. კლინტონი უკმაყოფილო იყო აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნებში ჩინური პროპაგანდის გაფართოებით, რუსეთის ახალი ტელეარხების შექმნით და სხვა. კლინტონის გამოსვლა ძირითადად განპირობებული იყო პროპაგანდისათვის 2012 წლისათვის 47 მილიარდი დოლარის გამოსაყოფად. არც ერთი სიტყვა პოლიტიკის შეცვლის თაობაზე. ნახევარ საუკუნეზე მეტია ოფიციალური ვაშინგტონი აქცენტს აკეთებს ამა თუ იმ ქვეყნის ისეთ პოლიტიკოსზე, რომელიც მენტალურად ახლოა ამერიკასთან, მორჩილად ემსახურება მას, ამერიკაში აქვს მიღებული განათლება და ეთაყვანება მას. ამერიკისათვის საჭიროა პირი, რომელიც უცილობლივ გაატარებს ამ ქვეყნის ინტერესებს.

ამასთანავე ის ყურადღებას არ აქცევს რა გზით, რა ხერხით აკეთებს ამას.

**ვაშინგტონის მხრიდან უკონტროლობამ, სახელმწიფო კორუფციამ, ავანტიურიზმმა, დიქტატურაში გადასულმა მმართველობამ, რასაც მრავალი წლის განმავლობაში ჰქონდა და აქვს ადგილი არაბულ სამყაროში, სხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ხალხი არა მარტო საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ აამხედრა, არამედ — აშშ-ს წინააღმდეგაც. სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ჩვენი მაგალითი რად ღირს?! მიუხედავად დაკანონებული კორუფციისა, ამერიკელები საწინააღმდეგოს აცხადებენ. ისინი დაბეჯითებით ამბობენ, რომ საქართველო მოწინავეა რეფორმების თვალსაზრისით. გაიხსენეთ სენატორ მაკკეინის რჩევა რუსეთისადმი — რეფორმები სააკაშვილიდან უნდა ისწავლოთო. მსოფლიო ბანკი საქართველოს პირველ ქვეყნად თვლის უცხოელთათვის ბიზნესში ხელისშეწყობაში და ა. შ. ამერიკას ნაკლებად ანაღვლებს ქვეყნის რეალური სურათი, მასობრივი უმუშევრობა, მძვინვარე სიღარიბე, ხელისუფალთა კორუმპირებულობა, ბიუჯეტის საკუთარი მიზნებისთვის მოხმარება და სხვა.** საერთაშორისო ორგანიზაცია „ატლანტიკის" მიხედვით უმუშევრობით საქართველო მე-11-ეა მსოფლიოში, ეს ოფიციალური მონაცემებით, რეალურით პირველზე. უმძიმესია დემოგრაფიული სურათი — 194 ქვეყანაში 192-ე ადგილზე — მოსახლეობის ზრდის ტემპით. **ან რა გაზრდის მოსახლეობას, როდესაც დღიური შემოსავალი 1,25 დოლარია, რაც დაბალია (2 დოლარი) თუნდაც რევოლუციამდელ ეგვიპტეზე. აშშ-ს არ აინტერესებს რაში ხარჯავს საქართველოს ხელისუფლება მიცემულ მსუყე თანხებს. მას არ ანაღვლებს სააკაშვილის და მისი თინეიჯერი ხელისუფლების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის უყაირათო ხარჯვა ან მისი პირადი კეთილდღეობისთვის გამოყენება. როდესაც ეკონომიკის, საგარეო საქმეთა, კულტურის ან სხვა სამინისტროები მარტო კვარტალურად ჩაი-ყავას და მინერალური წყლების სმაში ნახევარ მილიონ ლარს ხარჯავენ, რომ აღარაფერი ვთქვათ საწვავზე, რესტორნებში გამართულ წვეულებებზე, უცხოეთში სისტემატურ ხეტიალზე და სხვა, შეურაცხყოფაა ხელისუფლების დაპირება სექტემბრიდან პენსიის 10 ლარით გაზრდის თაობაზე.**

**საქართველოს მოსახლეობის გვარიანმა ნაწილმა გაიგო, რას წარმოადგენს ამერიკა, მან ისიც კარგად იცის, რომ სწორედ ის ასულდგმულებს სააკაშვილის ხელისუფლებს, მაგრამ ჯერ ვერ გაიგო მთავარი, რომ ვითარების შეცვლა მასზე და მხოლოდ მასზე და არა მაკკეინზე, ბრაისაზე, გორდონზე, ბაიდენზე, კლინტონსა და ობამაზეა დამოკიდებული. საქართველოს მოსახლეობამ ჯერ ვერ გაიგო ის, რაც ეგვიპტელმა, ტუნისელმა, იემენელმა სხვა არაბებმა გაიგეს. რაოდენ გასაკვირი არ უნდა იყოს, ვერც ამერიკამ გაიგო, რომ ძველი, დახავსებული მიდგომით ვერ შეინარჩუნებს მსოფლიო პირველობას, რომ ერთი პოლიტიკური თარგით იემენელს, ბაჰრეინელს, ეგვიპტელს, ქართველს, უკრაინელს, სხვას ტანსაცმელს ვერ შეუკერავს, რომ სხვამაც ისწავლა „თერძობა", მაგალითად, ე. წ. ბრიჩ-ის ქვეყნებმა (ბრაზილიამ, რუსეთმა, ინდოეთმა, ჩინეთმა) და, სხვათა შორის, არცთუ ცუდად.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ინფორმაცია

## რამდენად არიან ბანკები დამოუკიდებელი?

**ბანკები სესხებს მხოლოდ ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესჯგუფებისთვის გასცემენ. ამის შესახებ „ქრისტიან-დემოკრატებთან" გამართულ შეხვედრაზე ექსპერტმა დემურ გიორხელიძემ განაცხადა.**

**მისი თქმით, სესხებზე ქართული ბანკების და უცხოური ბანკების მიერ დაწესებული საპროცენტო განაკვეთების სხვაობა უზარმაზარია.**

**— თუ სხვა ქვეყნებში ბიზნესზე საპროცენტო განაკვეთი 2,5%-დან 3,5%-მდე მერყეობს, საქართველოში 22% აღწევს", — აღნიშნა გიორხელიძემ.**

**მისივე თქმით, რაც უნდა კარგი და საინტერესო ბიზნესგეგმა წარადგინო, ბანკები მასზე სესხს მაინც შერჩევით გასცემენ, რადგან მათ ნათელი დირექტივა აქვთ მიღებული, რომ მხოლოდ გარკვეულ და პრივილეგირებულ ბიზნესჯგუფზე გასცენ სესხი.**

**„თუ ვანო მერაბიშვილი დარეკავს, მისცემენ სესხს, რადგან იციან — წინააღმდეგ შემთხვევაში სხვანაირად წაუვათ საქმე", — განაცხადა გიორხელიძემ.**

**ამასთან, ექსპერტის თქმით, ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში სახელმწიფოს წილი 40%-ია, რამაც ქვეყანას შესაძლოა კატასტროფული შედეგი მოუტანოს.**

**„გამოსავალი ადმინისტრაციული ხარჯების და ქვეყანაში დამატებითი ღირებულების გადასახადის შემცირებაა. ყველანაირი გათვლებით, შესაძლებელია, დღგ 18%-დან 13%-მდე შემცირდეს, რაც ქვეყნის ეკონომიკას უფრო მეტ შედეგს მოუტანს", — აცხადებს გიორხელიძე.**

ХО-ЭОВ-ЭНО

კარიკატურა



— თუ შეიძლება, აი, ეს პური მომეცით.
— კი, ბატონო, ოღონდ იცოდეთ, პური დღეიდან გაძვირდა.
— მაშინ, გუშინდელი მომეცით, ბატონო...

ამირან ერაძის ნახატი.

ფესვები

# ეროვნული და სოციალური ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში

„წარსული მკვიდრი საფუძველია მომავალისა“

ილია ჭავჭავაძე

**ისე რომ, ამ 100 წლის წინათ ჩასახულ პოლიტიკურ მოძრაობას და პოლიტიკურ იდეას დღეს რეანიმაცია სჭირდება. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ იგი, ისე როგორც მთლიანად „საერთო ნიადაგის“ თეორია, მარტო ჩვენს ქვეყანას და მის მომავალს არ ეხება. იგი საერთო-კავკასიური მოვლენაა.** კავკასია მრავალეთნიკური რეგიონია, მაგრამ ამასთან, მასში ბევრია სოციალურ-ეკონომიკური, სულიერი, კულტურულ-ლინგვისტიკური, თუ წესჩვეულებითი ერთობის ნიშნებიც... თაობა თაობას მისდევს, საუკუნე საუკუნეს, მაგრამ ეს საერთო-კავკასიური ღირებულებები არ კარგავენ თავიანთ ცხოველმყოფელობას. ამიტომაა, რომ არც „კავკასიის საერთო სახლის“ ძველი იდეა კვდება...

ძნელია იმის თქმა, როდის, როგორ, რა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფორმებით მოხდება ამ ძველი, მაგრამ მარად ახალი იდეის განხორციელება, მაგრამ ერთი დანამდვილებით შეიძლება ითქვას: **„მთელი კავკასიის თავისუფლების“ დიდი იდეა, რომელიც ზუსტად 150 წლის წინათ, 1861 წელს, ილიამ წამოაყენა, აუცილებლად განხორციელდება. გლობალიზმსაც ხომ საქმე სწორედ აქეთკენ მიჰყავს. ეს შეიძლება მსოფლიოსთვის ტოლერანტიზმის სანიმუშო მაგალითიც გახდეს ახლო თუ შორეულ მომავალში...**

**„ანარქია წესრიგის დედაა“** და დღეს კავკასიაში რუსეთის მიერ აგორებული „მუჰაჯირობის“ ახალი ტალღა უცილობლად ბოლოს მოუღებს მის იმპერიულ წესრიგს აქ. მის ნაცვლად შეიქმნება ის წესრიგი, რომელზეც ოცნებობდნენ ჩვენი დიდი წინაპრები. ისტორიას თავისი დიდი სამართალი აქვს და ისე როგორც რომის „ათასწლოვან იმპერიას“ არ ეპატია იერუსალიმის დანგრევა, „მუჰაჯირობაც“ – კავკასიელთა სოციალურ-ეთნიკური გენოციდი, უპატიებელი ცოდვაა „მესამე რომის იმპერიისთვის“. ამასთან ისტორია და მისი სამართალი გვასწავლის – დიახაც რომ, „მეოთხე რომი აღარ იქნება“, რამეთუ ის ახალი წესრიგი, რომელსაც დღევანდელი ანარქია ქმნის, აღარ დაუშვებს იმპერიათა ახალ ბატონობას...

ეს და სოციალური და ეროვნული სამართლიანობის სხვა მნიშვნელოვანი იდეების ანალიზი ამ ასიოდე წლის წინათ გადმოგვცა მიხაკო წერეთელმა ვრცელ მონოგრაფიაში – **„ერი და კაცობრიობა“**, რომელიც მან თავის დიდ მასწავლებელს ვარლამ ჩერქეზიშვილს მიუძღვნა. შეიძლება ითქვას, რომ იგი ერისა და კაცობრიობის წარმოშობისა და მომავალი განვითარების მეტად ორიგინალური და ამასთან, ღრმად მეცნიერული გამოკვლევაა. ეს ფაქტიც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ქართველი კაცისთვის ზოგადკაცობრიული პრობლემები არასოდეს იყო უცხო რამ. მაგრამ ჩვენგან მივიწყებული ქართული ანარქიზმი და მისი პოლიტიკური ფილოსოფია კიდევ იმითაც არის თავისებური, რომ კაცობრიულთან ერთად, არასოდეს ივიწყებდა თავის ეროვნულ ტკივილს. მეტიც, ეროვნული, რეგიონალური და გლობალური, ეს ტრიადა გააზრებულია პირველის პრიმატობით: კაცობრიობის არსებობა ფიქციაა, კაცობრიობას ხომ მხოლოდ ერების გაერთიანება ქმნის...

**„... შეგნება ერის ინდივიდუალობისა და განუმეორებლობისა, სურვილი მისი დაუსრულებელი სიცოცხლისა, აი, რა არის წყარო ჩვენი პატრიოტიზმისა“** – მიხაკო წერეთლის ეს სიტყვები ქართული ანარქიზმის, სოციალ-ფედერალიზმისა და საერთოდ, ქართველი კაცის ცხოვრების არსი, მისი სულიერების უმთავრესი საზომია. ამ მხრივ ნიშანდობლივია არჩილ ჯორჯაძის სიტყვებიც – **საქართველოდან მე ინტერნაციონალისტად წავედი და ნაციონალისტად დავბრუნდიო**...

და კიდევ ერთი თავისებურება, რაც ასე ახასიათებდა ამ სოციალურ–პოლიტიკურ მოძრაობას: ეს გახლავთ **პრაგმატიზმი**, რაც ასე ჰაერივით გვჭირდება დღეს და რომლის გარეშე ვერც ეროვნულ და ვერც სოციალურ პრობლემებს ვერ გადავწყვეტთ. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ქართული ანარქიზმისა და სოციალ-ფედერალიზმის იდეების სადღეისო და სამომავლო მნიშვნელობას. ამ მხრივ მარტო ვ. ჩერქეზიშვილის მიერ ივრისპირეთის დაუსახლებელ და აუთვისებელ მიწებზე **„ხოდაბუნური თვითმმართველური საამხანაგო კორპორაციების“** დაფუძნების გახსენება რად ღირს... ეს საქმე ნამდვილად იმსახურებს გაგრძელებას დღეს...

„ასეთი პრაქტიკული და გამოყენებითი მნიშვნელობის გარეშე ნებისმიერი იდეა და თეორია, ცოდნა და მეცნიერება ხომ ილიასი არ იყოს, **„უქმის ჭკვის უქმი ვარჯიშია“**. სწორედ ილია ეხმარებოდა მათ რეალური სახე მიეცათ ხალხის თვითმოქმედებისა და თვითმმართველობის იდეის პრაქტიკული რეალიზაციისთვის ეროვნული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ამიტომ უწოდა არჩილ ჯორჯაძემ ილიას მთელ მემკვიდრეობას **„საერთო მოქმედების ნიადაგი“**. ბოლშევიკურმა ოკუპაციამ შეუშალა ხელი **„ეროვნული ძალების საერთო მოქმედების“** ამ იდეის რეალიზაციას.



არ ვიცი ვინ როგორ ფიქრობს, მაგრამ მე ღრმად მწამს: როგორც მეხდაცემულ და ნაცარტუტად ქცეულ მუხას სხვა ვერაფერი გამოაცოცხლებს, გარდა მიწის წიაღში ჩაფლულ-ჩამალული ფესვებისა, თითქმის 800-წლიანი „ძნელბედობით“ გაუკუღმართებული ერის სულიერი და მატერიალური ყოფის აღდგენა-განახლებაც მხოლოდ მისი ძველი ისტორიული და ფსიქო-გენეტიკური ფესვების მოძიებას შეუძლია. მათზე ამოზრდილ ყლორტებს ძალუძთ ახალი სივრცე და გაქანება მისცეს ქვეყანას. **„საერთო ნიადაგის“ თეორიის არსიც ესაა – „წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის“ გამოცოცხლება-გათანამედროვეობა, ლელთ ღუნიას პირით რომ გვითხრა ილიამ...**

რუსეთსა და საქართველოში მარქსიზმის ჩასახვისთანავე ილია მიხვდა, რომ ეს თეორია მიუღებელი იყო კოლონიურ უღელში მყოფი საქართველოსთვის. იგი ერს სწორედ თავის მაცოცხლებელ ფესვებს უკარგავდა. ამიტომაც ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ დაწყებულ მარქსიზმის კრიტიკას მასში არ შეიძლება სიმპატიები და მხარდაჭერა არ გამოეწვია. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს კრიტიკა იმდენად აკადემიური და ობიექტური იყო, რომ მის გასაბათილებლად ევროპისა და რუსეთის მთელი ელიტა დაირაზმა. ჩართული იქნენ ქართველი მარქსისტებიც. ასე გაჩნდა სტალინის ნაშრომი – **„მარქსიზმი და ანარქიზმი“**.

ალტერნატივა მართლაც რომ სტალინური ლოგიკით მოკლედ და ლაკონურად არის დასმული: ბოლშევიკური იმპერიის მომავალი საჭეთმპყრობელისთვის **„პროლეტარიატის დიქტატურისა“ და მმართველობის ტოტალური სისტემის ალტერნატივად სახელმწიფოს დეცენტრალიზაცია „თვითმმართველურ სინდიკატებად“ გადაქცევა მიუღებელი იყო.** ამ გზით ხომ ეს უზარმაზარი მრავალეროვანი იმპერია ხუხულასავით დაიშლებოდა **(ვარლამ ჩერქეზიშვილის და სხვა ქართველი ანარქისტების მიზანიც საბოლოოდ სწორედ ეს იყო!)**, და რუს მარქსისტებს მხოლოდ ძველი რუსეთის მოსკოვის, ნოვგოროდისა და ვლადიმირის სამთავროებიღა შემორჩებოდათ ხელში. აკი დაუფასდა კიდეც „მთის არწივს“ ველიკოდერჟავული იდეოლოგიისადმი ერთგულება – ჯერ „ჩეკას“ წევრი და „პრავდის“ რედაქტორი, მერე კი, პარტიის „ბელადი“ და იმპერიის „მამა-მარჩენალი“ გახდა...

ეს ფაქტიც ნათლად მიუთითებს, თუ რა შეურიგებელ საპირისპირო ძალებად დაიყო XIX-XX საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების მდინარება, რომელიც ვგონებ რომ ინერციით დღემდე გრძელდება. მთავარი იდეური წყალგამყოფი აქ ერთია: მიხაკო წერეთლის ზემოთაღნიშნული დეფინიცია რომ ვიხმაროთ, „ერი და კაცობრიობის“ ალტერნატივაში ვინ რას და რომელს აძლევს მეტ გზა-კვალს და ავალას. რადგან დიდზე დიდი უმრავლესობა ალბათ, მ.წერეთლის მსგავსად, პირველს მისცემს უპირატესობას, უფრო დასაზუსტებლად ასეც შეიძლება ვთქვათ: **ამ პირველის მეგზურად და გზის სანათად რა ავირჩიოთ – ჩვენი საკუთარი ისტორიული გამოცდილება, ეროვნული ტრადიციები და ცხოვრების წესი, თუ გავხდეთ „თუთიყუშები და უცხო ბაძის მონები“, როგორც ამას უკიჟინებდა „მესამედასელებს“ ილია...**

ეროვნულ და სხვა ნებისმიერ, მათ შორის, სოციალურ პრობლემას მხოლოდ მაშინ გადავჭრით ჩვენს სარგოდ და სასარგებლოდ, როცა ამ „თუთიყუშობას და უცხო ბაძის მონობას“ თავს დავაღწევთ ერთხელ და სამუდამოდ. სხვანაირად ვერასოდეს ვერ „ვიყუდნებთ ჩვენს თავს ჩვენად“. ასეთია ის დიდი ეროვნული მემკვიდრეობა, რომელიც მივიღეთ დღევანდელმა თაობებმა შორეული თუ ახლო წარსულიდან...

**– თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა მაჟალოსხო,** – სწორედ, ასე მოგვდის: ჩვენმა ეროვნულმა მემკვიდრეობამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისეთი მდიდარი გამოცდილება დააგროვა, რომლის არგამოყენება უპატიებელ ცოდვად ჩაგვეთვლება. სად არ ვეძებთ „ხსნის გზას“, იგი კი აქვე, ჩვენთანაა. **„ჩვენს იქით ჩვენი ხსნა მხოლოდ ტკბილი სიზმარია“**, – წერდა ილია და ჩვენც უნდა მთელი სერიოზულობით ვიფიქროთ იმ დიდი პოტენციალის ამოქმედებაზე, რომელიც ჩვენს ერს და ქვეყანას, მის ინტელექტუალურ და მწარმოებელ ძალებს აქვთ...

**ელბერდ ბატიაშვილი**

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 48.

ტურიზმი

# საქართველოს ტურიზმის „სიღნაღური“ სინდრომი

***ქართველ კაცს სტუმრის მიღება რომ უყვარს და, რაც მთავარია, ამის უდიდესი ტრადიცია და სათანადო ცოდნაც რომ აქვს, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. არც ისაა ახალი ამბავი, რომ არაერთი განვითარებადი ქვეყანა, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა საამისოდ აუცილებლად საჭირო ბუნებრივი, კლიმატური, ისტორიული, არქიტექტურული თუ კულტურული პოტენციალი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ტურიზმის განვითარებას ცდილობს. ამის მიზეზი, უწინარესად, ის არის, რომ საამისოდ სათანადო პირობების მქონე ქვეყნებისთვის ტურიზმი, უფრო მეტად უცხოური ვალუტის შემოსვლის საუკეთესო საშუალებაა, რომელიც ჩადებული ინვესტიციებიდან მოგებას მალევე იძლევა. გარდა ამისა, ტურიზმის განვითარებას კიდევ არაერთი მიმზიდველი მხარე აქვს. ამდენად საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის განვითარებასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მასშტაბური განვითარების თაობაზე მთავრობის გეზი ნამდვილად რაციონალურია, თუმცა მის ფრთაშესხმას არაერთი შიდა თუ საგარეო მიზეზი საგრძნობლად აბრკოლებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ მიმართულებით ბოლომდე გაუაზრებელმა პოლიტიკამ, საბოლოო ანგარიშით, შესაძლოა ქვეყანას ზიანიც მოუტანოს.***

ქვეყანაში უცხოელ ტურისტთა მოსაზიდად, უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილი კურორტების აღდგენა-რეაბილიტაციასთან ერთად, სახელმწიფო ძალიან დიდ ფინანსურ ხარჯს სწევს ახლების შესაქმნელადაც. ყოველივე ამისგან სასურველი შედეგის მიღებას, ანუ ტურისტების მოზიდვას, კარგად მოფიქრებული ეროვნული სტრატეგია ესაჭიროება, რომლის კონტურები, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც, საკმაოდ ბუნდოვანია.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში უცხოელ ტურისტთა მოზიდვის გარკვეული კოორდინირებისა და, ასე ვთქვათ, „ინტერესთა სფეროების“ დანაწილების მიზნით, ჩვენში 23 კომპანიის გამაერთიანებელი ტურიზმის ასოციაცია შეიქმნა. ასოციაციაში შემავალი ფირმები, ცხადია, საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტთან მჭიდრო კავშირში, ძალისხმევას არ იშურებენ ქვეყნისთვის მიმზიდველი ტურისტული სახის შესაქმნელად. ამის მიღწევას ამ სფეროში სხვადასხვა დონის საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობით, საგანგებო პრეს-ტურების მოწყობით და სხვა მსგავსი ღონისძიებათა ჩატარებით ცდილობენ და, გარკვეულწილად, საწადელს აღწევენ კიდეც. აღსანიშნავია ისიც, რომ უცხოელი ტურისტებისთვის საქართველოს მიმზიდველ ქვეყნად წარმოჩენას ჩვენი ქვეყნის „საშიში სახელმწიფოს“ „იარლიყი“ უშლის.




საქმე ის არის, რომ სოლიდურმა ამერიკულმა გამოცემა **„ფორბსმა“ მსოფლიოში მუშაობისა და ტურიზმისთვის საშიში ქვეყნების ყოველწლიური ნუსხა გამოაქვეყნა. ამ მეტად არასახარბიელო რეიტინგში მოხვედრილ სახელმწიფოთა შორის საქართველოცაა მოხვედრილი.** ამ ჩვენთვის მეტად არასასიამოვნო სიაში მოხვედრის ფაქტს კიდევ უფრო მეტად ის გარემოებაც ამძაფრებს, რომ ამ მხრივ „ფორბსის“ აზრს საფრანგეთის ავტორიტეტული მეგზური „ფეტი-ფუტიც“ ითვალისწინებს. ამ გამოცემამ საქართველო სამოგზაუროდ ისეთ „არასასურველი“ ქვეყნების კომპანიაში მოიხსენია, როგორებიცაა, მაგალითად, **სომალი, ერაყი, ბოლივია, ავღანეთი, ლიბია, ჰონდურასი, კოლუმბია, მალაიზია, სამხრეთ კორეა, ჰაიტი, ბაჰრეინი, ფიჯის კუნძულები...**

საქართველოს, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ქვეყნის იმიჯის აღსადგენად, ქვეყნის ტურიზმის დეპარტამენტი და ცალკეული ტუროპერატორი კომპანიები ძალისხმევას კი არ იშურებენ, მაგრამ მარტო მცდელობა, სათანადო ინფრასტრუქტურის უქონლობას და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მაღალი ხარისხის სერვისის დეფიციტის პირობებში, საქმეს ვერ უშველის. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პარიზში დასტამბულ საერთაშორისო გამოცემაში – მსოფლიოს ქვეყნების ერთგვარ გიდში – საქართველო, ტურისტული თვალსაზრისით, საუცხოო, მეტად მიმზიდველ ქვეყნადაა აღიარებული. ხოლო თუკი სადღეისოდ საქართველოში ევროპელი ტურისტების შედარებითი ნაკლებობაა, ამას გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისით, ასევე 2008 წლის რუსეთის აგრესიის შედეგებით ხსნიან. ასევე სერიოზულ ნეგატიურ ზეგავლენას ჩვენში საერთაშორისო ტურიზმის სათანადო ტემპით განვითარებაზე ქვეყნის ტერიტორიის დანაწევრება და სეპარატისტული რეგიონების არსებობა ახდენს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ თავის დროზე ჩვენში ბევრი ლაპარაკი იყო რაიონებში საოჯახო ბიზნესის განვითარებაზე, რა დროსაც ინდივიდუალურ ტურისტებს (ანდა მათ მცირერიცხოვან ჯგუფებს), მომსახურების სრულ ციკლს ერთი კონკრეტული ოჯახი გაუწევდა, მაგრამ ბოლო დროს ეს კარგი იდეა სრულიად უგულებელყოფილია, აქცენტი გაცილებით დიდი მასშტაბის პროექტების განხორციელებაზე კეთდება. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ მრავალი დიდად გაპიარებული საქმე, რომელიც, უწინარესად, უცხოელ ტურისტთა მოზიდვაზეა გათვლილი, იმდენად უგერგილოდ და არასრულფასოვნად შესრულდა, რომ ეს მარტო ადგილობრივ მოსახლეობას კი არა, ჩამოსულ სტუმრებსაც არ გამორჩათ თვალთახედვიდან. ამას, კერძოდ, ამერიკა-საქართველოს ბიზნესსაბჭოს მიერ შემუშავებულ დოკუმენტში მიუთითებენ კიდეც, რომელიც სიღნაღის ინფრასტრუქტურას ეხება: **„ტურისტებს უმშვენიერესი შენობების მხოლოდ ფასადებს სთავაზობენ, ხოლო სათანადო მომსახურების ნასახიც არ არის“**.

აბა, ამის წამკითხავი, რამდენი „კარგი დასვენების“ მსურველი გვესტუმრება, როგორ ფიქრობთ, ბატონებო? თუ ყველაფრის ჰაიჰარად, მხოლოდ „ჩათვლის მიღებაზე“ საქმის გაკეთების პრაქტიკას ბოლო დროულად თუ არ მოეღო, უცხოელი სტუმრები კი არა, ადგილობრივი დამსვენებლებიც გარე-გარე დაიწყებენ სიარულს.

**ოთარ ტურაბელიძე**

**წარდგენილია სახელმწიფო პრემიაზე**

*26 მაისს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში პრეზიდენტი სახელმწიფო პრემიას გასცემს. კონკურსში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის თანამშრომლებმა, რომლებმაც წარადგინეს ნაშრომთა ციკლი: „ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციები ფილტვის ადგილობრივად გავრცელებული კიბოს და ტრაქეობრონქული ხის სიმსივნური და ნაწიბუროვანი დაზიანებების დროს". იგი 1995 წლიდან დღევანდლამდე პერიოდს მოიცავს და აერთიანებს ორ მონოგრაფიას: „ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციები ფილტვის ადგილობრივად გავრცელებული კიბოს დროს" (თბილისი, 2009) და „რეკონსტრუქციულ-აღდგენითი ოპერაციები ტრაქეის გულმკერდის ნაწილსა და ბრონქებზე" (თბილისი, 2010). ორივე წიგნის ავტორები გახლავან პროფესორები, ნაციონალური ცენტრის გენერალური დირექტორი **რეზო გაგუა** და დირექტორის მოადგილე სამედიცინო და სამეცნიერო დარგში **ვლადიმერ კუჭავა**.*

# თუ ქირურგიული მანიპულაციები ზუსტია და დეტალურადაა შესრულებული...

## რა მიღწევები აქვთ ქართველ დასტაქრებს ფილტვის კიბოთი დაავადებულ ავადმყოფთა მკურნალობაში


რეზო გაგუა


ვლადიმერ კუჭავა

მოგეხსენებათ, ონკოლოგია ძალიან აქტუალური პრობლემაა მთელ მსოფლიოში. 2020 წლისთვის სიმსივნურ დაავადებათა თითქმის გაორმაგებასაც ვარაუდობენ. ამდენად, ონკოლოგიის დარგში ყოველი ახალი მიღწევა, უდავოდ, მნიშვნელოვანია. ქვემოთ გვესაუბრებიან მონოგრაფიის ავტორები, რომლებიც ცხადად წარმოაჩენენ სამედიცინო დარგში, კერძოდ, ონკოლოგიაში წლების განმავლობაში თავიანთი პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილებასა და სიახლეებს.

**რეზო გაგუა:** სამწუხაროდ, ონკოლოგიურ დაავადებათა შემცირების ტენდენცია მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ აღინიშნება, პირიქით, 2010 წლის მონაცემებით, 12 მილიონი ადამიანია აღრიცხული, რომელთაც კიბო აქვთ. სამწუხაროდ, აქედან ნახევარი იმავე წელს იღუპება. საქართველოშიც იგივე მდგომარეობა გვაქვს. 7 ათასი კიბოს ახალი შემთხვევიდან, დაახლოებით 4,5 ათასი სიკვდილით მთავრდება. თანაც კიბო ძირითადად ვლინდება 40-60 წლის ასაკში, როცა ადამიანები შრომისუნარიანები არიან, დაავადება კი იმ სტადიაზე გამოვლინდება, როცა მკურნალობის ეფექტიანობა დაბალია.

**— რომელი ქვეყნებში უფრო აღინიშნება დაავადების პროგრესულობა?**

**ლადო კუჭავა:** ძირითადად განვითარებად ქვეყნებში. თუმცა იმის ერთმნიშვნელოვნად მტკიცება, თუ რატომ ხდება ასე, ცოტა არ იყოს, რთულია. მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში შეიმჩნევა ფილტვის კიბოს კლების ტენდენცია, მაგრამ ამერიკაში — არა. რაც შეეხება პროსტატის კიბოს, მისი დაავადებათა რაოდენობა განვითარებულ ქვეყნებში იზრდება, ხოლო განვითარებადში — არა.

**— რა არის კიბოს გამომწვევი მიზეზი, რა ფაქტორები შეიძლება ვიგულისხმოთ?**

**რ. გაგუა:** ერთმნიშვნელოვანი პასუხი, ან ჩამოყალიბებული თეორია კიბოს გამომწვევ მიზეზებზე არ არსებობს. არ არის ალგორითმი ერთი ვირუსი, ერთი ბაქტერია, რომელიც, შესაძლოა, კიბოს იწვევდეს. ეს ყველაფერი შესწავლის ფაზაშია. კიბო — ეს არის უჯრედთა არაკანონზომიერი გამრავლება. საწყის ეტაპზე შეიძლება რადიკალური ჩარევა და ადგილობრივი თუ მეტასტაზური პროცესის შეჩერება. რა თქმა უნდა, კიბოს აქვს თავისი წინაპირობა და პრევენციით შეიძლება კიბოს წარმოშობისა და განვითარების შემცირება. პირველადი პრევენცია — ეს არის გარემოს გაჯანსაღება, ჯანმრთელობისთვის მავნე ჩვევებისთვის (თამბაქოს მოწევა, პროსტიტუცია, არასწორი კვება და ა. შ.) თავის დანებება, ხოლო მეორადი პროფილაქტიკა გულისხმობს იმ ავადმყოფთა დისპანსერიზაციას, სისტემურ მონიტორინგს, რომელთაც ქრონიკული დაავადებები აქვთ, არიან კიბოს გამო ნამკურნალევი, ან იმყოფებიან იმ რისკჯგუფებში, რომელმაც შეიძლება კიბო გამოიწვიოს.







**— მოქმედებს თუ არა კიბოზე გარემო ფაქტორები, ეკოლოგია, რადიაციული ფონი?**

**ვ. კუჭავა:** სწორი შენიშვნაა. რადიაციული ფონი — ეს არის ყველაზე მთავარი. პრაქტიკულად ჩვენ ვცხოვრობთ ონკოგენურ გარემოში: ოზონის ხვრელის წარმოშობა, ეკოლოგიის მკვეთრი დარღვევა, ინდუსტრიის განვითარება... შეიძლება ეს შევწყვიტოთ? — მაშინ მეორე უკიდურესობა გვემუქრება — შიმშილით სიკვდილი. მსოფლიო მოუმზადებელია 7-მილიარდიანი პოპულაციისთვის, იმისთვის, რომ მან ისინი სუფთა ჰაერით ასუნთქოს, სუფთა საკვები და წყალი მისცეს. ერთი თვითმფრინავი, რომელიც ნიუ-იორკიდან ლონდონში მიფრინავს, დაახლოებით იმდენ ჟანგბადს წვავს ჰაერში, რამდენსაც მთელი დღის განმავლობაში გამოიმუშავებს ამაზონის ჯუნგლები. წარმოიდგინეთ, რამდენი ასეთი თვითმფრინავი დაფრინავს დღე-ღამეში? დედამიწის „ფილტვები" არასაკმარისია...

**— ალბათ, ამის შემდეგ ზედმეტია კითხვა, რატომ ავადდება ადამიანი, ან რა იწვევს ამა თუ იმ პათოლოგიას, მაგრამ ახლა მთავარია — როგორ შეიძლება დაავადების წინააღმდეგ ბრძოლა, რაშიც ისევ და ისევ თქვენი, მედიცინის მუშაკების ღვაწლი ფასდაუდებელია.**

**ვ. კუჭავა:** უნდა გაუმჯობესდეს არსებული სამკურნალო საშუალებების ეფექტიანობა და მოვიგონოთ ახალი. მთავარია, რომ კიბო ადრეულ სტადიაზე განკურნებადია... ონკოლოგიაში მიღებულია მედიკამენტური მკურნალობა, რომელიც ძალიან წარმატებულია. პრეპარატების თვალსაზრისით ისეთი ეფექტიანობა გამოვლინდა, რომ ონკოლოგია მიზნობრივ თერაპიაში აშკარა პერსპექტივას განიცდის. მაგრამ არ ვგულისხმობ შამანებს, ექიმბაშებს, სიზმარში ნანახ წამლებს, რომლებიც ძალიან ხშირად უკუშედეგით მთავრდება და პაციენტს სიცოცხლეს არათუ უხანგრძლივებს, არამედ დიდ საფრთხესაც უქმნის. სიმსივნური დაავადების დროს ხომ ყოველი წუთი განსაკუთრებით ძვირფასია.

**— თუმცა თქვენს მონოგრაფიაში აღწერილი გაქვთ რადიკალური ჩარევის აუცილებლობის სტადია, ანუ ქირურგიული ოპერაციები და მათი ეფექტიანობა. იქნებ მოკლედ, მკითხველისთვის გასაგები ენით მოგვიყვეთ თქვენი ნაშრომის შესახებ?**

**რ. გაგუა:** ფილტვების კიბო თანამედროვე ონკოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა. საქართველოში ყოველწლიურად ფილტვის კიბოს 700-800 ახალი შემთხვევა რეგისტრირდება, რომელთაგან ექვსასზე მეტი სიკვდილიანობით მთავრდება. ქიმიო და სხივური თერაპიის პროგრესის მიუხედავად, რადიკალური ოპერაცია მკურნალობის ძირითადი მეთოდია. ჩვენი მონოგრაფია: „ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციები ფილტვის ადგილობრივად გავრცელებული კიბოს დროს" 309 ავადმყოფის მკურნალობის გამოცდილებას ემყარება. ჩვენ ვაჩვენებთ, რომ ქირურგიული მანიპულაციების ზუსტი და დეტალური შესრულება შესაძლებლობას იძლევა, ფილტვის ადგილობრივად გავრცელებული კიბოს დროსაც კი გაკეთდეს ორგანოდამზოგველი ოპერაციები. ოპერაციის შემდგომი სიცოცხლის ხანგრძლივობა კი მნიშვნელოვნად აღემატება მხოლოდ კონსერვატიული ქიმიო-სხივური თერაპიის შემდგომ სიცოცხლის ხანგრძლივობას.

**ვ. კუჭავა:** აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მონოგრაფიაში ასახული ავადმყოფობის მსგავს დაავადებულებს წლების წინათ მკურნალობა არც უტარდებოდათ. ეს იყო ფილტვის კიბო, სიმსივნის III სტადია, მაგრამ ოპერაცია ვერ უკეთდებოდათ იმის გამო, რომ ისინი ხანდაზმულები იყვნენ, ან სხვა ქრონიკული დაავადებები აწუხებდათ. ამის გამო ვერ ხერხდებოდა ფილტვის ამოღება. ჩვენს მონოგრაფიაში ასახული გვაქვს, როგორ ხდება სიმსივნის ამოკვეთა და ამავე დროს ფილტვის შენარჩუნებაც. ასეთი ოპერაციები მსოფლიოში კეთდება, თუმცა არ არის პოპულარული, რადგან მაღალია გართულებების რიცხვი. საქართველოში ასეთი არაერთი საკმაოდ წარმატებული ოპერაცია ჩავატარეთ და ამის შესახებ არაერთხელ გავაკეთეთ მოხსენებები სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმზე.

**— ახლა იქნებ მეორე მონოგრაფიაზეც ორიოდ სიტყვა, რომელიც რეკონსტრუქციულ და პლასტიკურ ოპერაციებს შეეხება. რამდენად ფართოდ არის ის გავრცელებული?**

**ვ. კუჭავა:** რეკონსტრუქციულ-აღდგენითი და პლასტიკური ოპერაციების დანერგვა თანამედროვე ონკოლოგიაში ყველაზე რთულ, მაგრამ პროგრესირებად მიმართულებად მიიჩნევა. ის მრავალი თავისებურებით ხასიათდება და დამოკიდებულია დაავადების ლოკალიზაციასა და გავრცელებაზე. ჩვენ დეტალურად აღვწერეთ ტრაქეისა და ბრონქების რეზექციისა და პლასტიკის ჩვენებები, ავადმყოფთა წინასაოპერაციო მომზადების პრინციპები, სხვადასხვა ოპერაციის შესრულების მეთოდოლოგიური ასპექტები, ოპერაციის შემდგომი გართულებების სიხშირე. ჩვენთან ასეთი ოპერაციები თოროკალური (ფილტვის ქირურგიის) განყოფილების ჩამოყალიბების (1980 წ.) პირველივე წლებიდან ინერგება. ამ განყოფილების შექმნა სწორედ ბატონი რეზოს სახელთანაა დაკავშირებული. მისი პრაქტიკული და სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები ფილტვის კიბოსა და შუასაყარის დაავადებების პრევენცია, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის რაციონალური მეთოდების შემუშავებაა. ჩემი სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობაც ფილტვის კიბოს, შუასაყარისა და გულმკერდის კედლის სიმსივნეების ქირურგიული და კომბინირებული მკურნალობის საკითხებს შეეხება.

**— ბატონო რეზო, ორიოდე სიტყვით გვითხარით, რამდენად პრიორიტეტულია სახელმწიფოსთვის ონკოლოგიაზე მეურვეობა, ფიქრობს თუ არა სიმსივნით დაავადებულ ავადმყოფებზე?**

— რა თქმა უნდა, ფიქრობს. ამის ერთ-ერთი შედეგი ისაა, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდა ონკოპრევენციის ცენტრი, სკრინინგ ცენტრები, რომელთაც საქართველოს პირველი ლედი სანდრა ელისაბედ რულოვსი უწევს მეთვალყურეობას. ონკოლოგიური დაავადებები ფინანსდება 0-18 წლამდე 100 პროცენტით, 60 წლის ზემოთ — 70 პროცენტით. ასევე ფინანსდებიან პოლისის მატარებელი პაციენტები პოლისში გათვალისწინებული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მასშტაბით. არ ფინანსდება 18-60 წლამდე კონტინგენტი.

**— რა ვითარებაა ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში? ჯერჯერობით, როგორც ვხედავთ, საკმაოდ სავალალო სიტუაციაა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების თვალსაზრისით. რა პერსპექტივა გაქვთ?**

— ეს არის ტრადიციული დაწესებულება, რომელიც უკვე 60 წელია, რაც არსებობს. ჩვენთან 750 ექიმი მუშაობს, აქედან 29 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და მეცნიერებათა კანდიდატები, ცენტრში არის 8 სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სხვადასხვა საერთაშორისო სამედიცინო ორგანიზაციის წევრი.

გონებრივი პოტენციალით ნამდვილად დავიკვეხნით, სამაგიეროდ, მოძველებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინტერიერი, დიზაინი, საყოფაცხოვრებო პირობები მოუწესრიგებელია. სწორედ ამიტომ გამოინახა ინვესტორები, რომელთაც შეისყიდეს ონკოლოგიური ცენტრი მიწის ნაკვეთთან ერთად. „პიგასუს-ინტერნეიშნალ-ფარმაცევტიკალ გრუპის" სათავო ოფისი კანადაშია, ხოლო მისი წარმომადგენლები ჩინელები არიან. მარტის ბოლოდან უკვე დაიწყება რეაბილიტაცია, აშენდება ორი თანამედროვე სამედიცინო კორპუსი. ახალ ცენტრში გადასვლის შემდეგ ძველ კორპუსში განთავსდება ოფისები, სასტუმროები და მრავალპროფილური სადიაგნოსტიკო-სამკურნალო დაწესებულებები. ინვესტორებს ბევრი მნიშვნელოვანი და საინტერესო გეგმა აქვთ. ისინი აპირებენ, საფუძველი ჩაუყარონ და განავითარონ სამედიცინო ტურიზმი, რაც უდავოდ მისასალმებელია.

**— გისურვებთ წარმატებებს!**

ესაუბრა
**თეა მოსია**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# შეძლებს რუსეთი საქართველოს გვერდის ავლით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლას?

**რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთი შეძლებს შევიდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს თანხმობის გარეშეც. „თუ ჩვენი ქართველი კოლეგები ჯიუტად იქნებიან თავიანთ პოლიტიზებულ პოზიციაზე, მაშინ, ალბათ, მოგვიწევს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან მიერთების საკითხი გადავწყვიტოთ სხვაგვარად, მათი მონაწილეობის გარეშე. ასეთი შესაძლებლობანი არის“, — თქვა ლავროვმა 13 მარტს რუსეთის ტელეკომპანია „მესამე არხისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.**

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამავე დროს აღნიშნა, რომ რუსეთი ღიაა საქართველოსთან მოლაპარაკებისთვის, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოლაპარაკება შეეხება „უშუალოდ“ რუსეთის ფედერაციის შესვლას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. „ჩვენ მზად ვართ ასეთი კონტაქტებისთვის, ჩვენ უკვე მოვილაპარაკეთ, შვეიცარიელების შუამავლობით, ჟენევაში მოვაწყოთ მოლაპარაკება იმ გაგებით, რომ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც უშუალოდ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას შეეხება“, — განაცხადა ლავროვმა.

„თუ ჩვენი ქართველი მეზობლები წამოაყენებენ, როგორც ისინი ამის შესახებ საჯაროდ იმუქრებოდნენ, ისეთ თემებს, როგორიცაა, როგორც თავადვე ამბობენ, საქართველოს საბაჟო და სასაზღვრო კონტროლი სამხრეთი ოსეთისა და რუსეთის საზღვარზე, აგრეთვე აფხაზეთისა და რუსეთის საზღვარზე, მაშინ ეს გზა უპერსპექტივოა. ამ საკითხებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან“, — განმარტა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა.

შეგახსენებთ, საქართველოს პოზიცია არის ის, რომ თბილისი რუსეთისგან მოითხოვს, დაუშვან ქართველი წარმომადგენლები საბაჟო საზღვარზე მდინარე ფსოუსთან და როკის გვირაბთან. თბილისი არ გამორიცხავს „სხვა კომპრომისებსაც“, მათ შორის საკონტროლო-გამტარ პუნქტებზე საერთაშორისო ორგანიზაციების ყოფნის ხარჯზე, დნესტრისპირეთის ანალოგიით, თუნდაც. კიშინიოვსა და კიევს შორის შეთანხმებით ულიარებელი დნესტრისპირეთის საზღვარს კონტროლს უწევს ევროკავშირის მისია.

ოფიციალური თბილისი უარყოფს, რომ მისი მოთხოვნები პოლიტიზებულ ხასიათს ატარებენ, ამტკიცებს, რომ რუსეთისგან მოითხოვს მხოლოდ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების შესრულებას. საქართველო დაბეჯითებით მოითხოვს „ეფექტიან და ყოვლისმომცველ კონტროლსა და მონიტორინგს ყველა ტვირთისა, რომლებიც გადის გამოყოფილი რეგიონების საზღვარზე, აგრეთვე რუსეთის მიერ „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფუძემდებლური პრინციპის შესრულებას საზღვრის გამჭვირვალობისა და არადისკრიმინალური ვაჭრობის შესახებ ორგანიზაციის წევრებს შორის. ამის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან საუბარში აღნიშნა საქართველოს პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელის მოადგილემ გიორგი კანდელაკმა 10 მარტს.

„მესამე არხთან“ ტელეინტერვიუს დროს სერგეი ლავროვმა აღნიშნა, რომ დასავლეთის ქვეყნები დაინტერესებული არიან რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლით, ვინაიდან ეს, მისი აზრით, ხელსაყრელი იქნება „ყველასთვის“. ლავროვმა აგრეთვე განაცხადა, რომ რუსეთს აქვს დასავლეთის მხარდაჭერის იმედი ამ პრობლემის თბილისთან მოწესრიგების საკითხში. „ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა ეს იციან. ჩვენ კი მათ ვუთხარით, რომ თუკი მათ ასეთი ინტერესი აქვთ, უნდა დაარწმუნონ თბილისი, რომელზეც მათ დიდი გავლენა აქვთ, იმაში, რომ ქართველებმა დაანებონ თავი ხელოვნური პრობლემების შეთხზვას ამ შემთხვევაში. ვფიქრობ, რომ საკითხი გადაწყდება“, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.




აღსანიშნავია, რომ ადრე გაკეთებულ განცხადებაში ვაშინგტონმა აღნიშნა: მართალია, ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებულია რუსეთის შესვლით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, მაგრამ იგი არ აპირებს ჩაერიოს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებაში. „ეს არის ორმხრივი და არა სამმხრივი ხასიათის საკითხი“, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების საბჭოს, ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველმა და უფროსმა დირექტორმა რუსეთისა და ევრაზიის საკითხებში მაიკლ მაკფოლმა 4 მარტს ჟურნალისტებთან ტელეკონფერენციის დროს.

ამავე დროს საქართველოს ხელისუფლება ადასტურებს, რომ სცენარი, რაზეც ლავროვი საუბრობდა, თეორიულად შესაძლებელია. კერძოდ, 14 მარტს პრესისთვის გამართულ ბრიფინგზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ აღნიშნა, რომ რუსეთის წევრობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს თანხმობის გარეშე შესაძლებელია. მაგრამ კალანდაძემ გამოთქვა იმედი, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ამგვარ პრეცედენტს არ დაუშვებს.

„მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესდება ითვალისწინებს ამა თუ იმ ქვეყნის მიღებას თავის შემადგენლობაში სრული კონსენსუსის გზით, მაგრამ ამავე წესდებით გათვალისწინებულია ქვეყნის მიღების შესაძლებლობა რომელიმე ერთი ქვეყნის წინააღმდეგობის პირობებშიც... მიუხედავად ასეთი ნორმის არსებობისა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში დღემდე ასეთი პრეცედენტი არ ყოფილა, და ჩვენ ეჭვი გვეპარება, რომ მომავალშიც ორგანიზაცია დაუშვებს ასეთ პრეცედენტს“, — უთხრა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილემ ჟურნალისტებს.

კალანდაძის სიტყვებით, საქართველო „პოლიტიკურ საკითხებს არ ხდის ვაჭრობის საგნად“, არამედ გამოაქვს განსახილველად „ტექნიკური და სამართლებრივი ასპექტები“. „საქართველოს მხარე არაფერს მოითხოვს ისეთს, რომელიც არ შეესაბამება, უწინარეს ყოვლისა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნებს. რუსეთთან დაწყებული მოლაპარაკება ხანგრძლივი პროცესია და იმედი გვაქვს, რომ შევძლებთ პოზიციების დაახლოებას“, — აღნიშნა ნინო კალანდაძემ.

ქართველი პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი „უცნაურად“ მიიჩნევს იმას, რომ, როდესაც მრავალი წლის განმავლობაში საუბრობდნენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მისი ყველა წევრის თანხმობის გარეშე მიუღებლობის შესახებ, „უეცრად ჰორიზონტზე გაკიაფდა ალტერნატიული შესაძლებლობა“. „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში პოლიტოლოგმა აღნიშნა, რომ, როგორც ლავროვის განცხადება, ისე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რეაქცია „რამდენადმე არასერიოზულია“. „თუ რუსეთის ფედერაციის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა თეორიულად იყო შესაძლებელი ადრე, საზოგადოებრიობა ამის შესახებ ინფორმირებული უნდა ყოფილიყო“, — ამტკიცებს იგი.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ სიტუაციაზე რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის გარშემო შეიძლება გავლენა იქონიეს ახალმა ვითარებებმა, „რის შესახებაც ჯერჯერობით არ საუბრობენ“. ცისკარიშვილი არ გამორიცხავს კულისებს მიღმა ვაჭრობასაც, რომელსაც შეიძლება შეუერთდეს დასავლეთი, რათა მოაწესრიგოს ეს საკითხი ორივე მხარისთვის რაც შეიძლება მცირე დანაკარგებით.

პოლიტოლოგის აზრით, პირობები, რომლის დროსაც შეიძლება არ მიაქციონ ყურადღება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის რომელიმე წევრის ვეტოს, „ჯერჯერობით გაურკვეველია“. მიუხედავად ამისა, საქართველოს მხარესთან მოლაპარაკების ინიცირებით, მოსკოვმა უფრო ხმამაღლა უნდა განაცხადოს იმის შესახებ, თუ რას აკეთებს იგი კეთილი ნებით და არა აუცილებლობით, მიაჩნია სოსო ცისკარიშვილს.

ექსპერტი აგრეთვე ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ პირობები, რომლებსაც თბილისი უყენებდა რუსეთს ჯერ კიდევ 2006 წელს, დღემდე არ შეცვლილა. „ესეც მიუთითებს იმაზე, რომ საკითხის ყველა მხარე სათანადოდ არ იქნა შესწავლილი, — ამბობს იგი. — წახვიდე ბერნში რაიმე წინასწარი კონსულტაციების გარეშე და ორი დღე დუმდე — ეს არც ერთ მხარეს არ ანიჭებს დიდ სოლიდურობას“.

სოსო ცისკარიშვილმა აღნიშნა, რომ წინასწარ მკითხაობა ამ სიტუაციაში რთულია, მაგრამ ბოლოს გაგვიზიარა თავისი წინასწარი გრძნობა, რომ გარკვეული პოზიტიური ძალები, რომლებიც ჩართული არიან ამ კონფლიქტის მოგვარებაში, შეძლებენ გამონახონ ორივე მხარისთვის მისაღები გადაწყვეტილება, ამავე დროს, შეინარჩუნონ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის რეპუტაცია.

VOA NEWS.com Голос Америки

# იაპონიის ნიშის დაკავებას ბაზრებზე განსაკუთრებით ჩინეთი ცდილობს

**„იაპონური პროდუქცია, რომელიც მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ბაზარზე გადიოდა, შეიზღუდა. იმის გამო, რომ მისი ექსპორტი არ ხდება, ამ დეფიციტით სარგებლობენ სხვა ქვეყნები. კონკურენციის მომენტის შესაბამისად, ისინი ცდილობენ, იაპონიის ნიში დაიკავონ და შეავსონ. განსაკუთრებით ამ მხრივ ჩინეთი აქტიურობს, — ამის შესახებ ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში დავით ნარმანიამ „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას განაცხადა.**



მისი თქმით, საქართველოს ეკონომიკაზე იაპონიაში განვითარებულ მოვლენებს არსებითი ზეგავლენა არ ექნება, რადგან ჩვენი და იაპონიის ეკონომიკა ერთმანეთთან მჭიდროდ ინტეგრირებული არ ყოფილა.

— არის გარკვეული ტიპის ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები, თუმცა როგორც კი იქ ვითარება სტაბილური გახდება, ეს ოპერაციები აღდგება, — აღნიშნა ნარმანიამ.

რაც შეეხება მეორეული მოხმარების ავტომობილებს, ნარმანიას თქმით, იაპონიიდან მათი ექსპორტი გაიზრდება.

— იაპონიაში ამ მოვლენების შედეგად დაზიანებული ავტომანქანა ბევრია და შეიძლება ისინი დაშლილი ნაწილების სახით შემოვიდეს საქართველოში. მით უფრო, ჩვენი ქვეყანა არც ისე პატარა ბაზარია მეორეული მოხმარების ავტონაწილების იმპორტის თვალსაზრისით, — აცხადებს ექსპერტი.

„შეიძლება, მაღალი მოხმარების ავტომობილზე ფასები გაიაფდეს კიდეც. ჯერჯერობით ბევრი რამე იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ დაუბრუნდება იაპონიის ეკონომიკა ჩვეულ რიტმს. იქ, ფაქტობრივად, პარალიზებულია ენერგოსექტორი, რამაც ბევრი სხვა სექტორების გაჩერება გამოიწვია“, — აღნიშნავს ნარმანია.

ნარმანიას აზრით, ალბათ 2-3 წელი მაინც დასჭირდება იაპონიას, რომ ეკონომიკური ზრდის ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ძველ მაჩვენებლებს დაუბრუნდეს.

— ჩინეთის ბაზარი დაიკავებს მსოფლიო ბაზრის გარკვეულ სეგმენტს, თუმცა, ალბათ, ბოლომდე იაპონიის მაგივრობას ვერ გასწევს. ამ მდგომარეობის მერე იაპონია სერიოზულად გადახედავს თავისი ეკონომიკის კონიუნქტურას. ამიტომ შესაძლოა, გარკვეული ტიპის სექტორი მეტად განვითარდეს, სხვა სექტორი კი — შედარებით ნაკლებად.

## დედამიწის ზურგზე



**კატასტროფიდან ოთხი დღე-ღამის შემდეგ ნანგრევებსა და ზღვაში პოულობენ ცოცხლებს**

ნანგრევებიდან ამოიყვანეს მამაკაცი და 75 წლის ქალი. უფრო ადრე იტყობინებოდნენ 60 წლის იაპონელის შესახებ, რომელიც ორი დღე იმყოფებოდა ღია სახლში, რომელსაც სტიქიამ სახურავი ახადა, სანამ იგი სამხედრო მეზღვაურებმა არ აღმოაჩინეს. ახლა მაშველებმა ნახეს კიდევ ერთი 70 წლის ქალბატონი, რომელმაც ზღვაში ოთხი დღე გაატარა.

* * *

**ახალი მიწისძვრები ტოკიოში, კანტოსა და სიძუოკში: ათობით დაზარალებულია**



22 ათასზე მეტი სახლი ქალაქ ფუძინომიაში დროებით დარჩა ელექტროენერგიის გარეშე, ერთ-ერთ სასტუმროში ხანძარი გაჩნდა. მიწისქვეშა ბიძგები იგრძნობოდა დედაქალაქში. გამოცხადდა ცუნამის საფრთხის შესახებ, მაგრამ ხელისუფლებამ რამდენიმე წუთის შემდეგ ეს ცნობა უკან გაიწვია.

* * *

**70 წლის იაპონელმა მიწისძვრით დაზარალებულებს უსასყიდლოდ გადასცა 123 ათასი დოლარი**



ქალაქ ოსაკას მცხოვრებმა უბრალოდ ქალაქის მერიაში მიიტანა ქაღალდის დიდი პაკეტი ფულით და ითხოვა, რომ გამოეყენებინათ ეს თანხა დახმარების გასაწევად. იაპონიის პოლიციის მონაცემებით, სტიქიის დარტყმისგან დაიღუპა 3,3 ათასზე მეტი კაცი. 2 ათასზე მეტი დაჭრილია. უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება 7,5 ათასი კაცი.

* * *

**ოპოზიციის მკაცრი დარბევა ბაჰრეინში: გაანადგურეს კარვების ბანაკი, პროტესტის მონაწილეები დახვრიტეს**

მართლწესრიგის ძალები მიუახლოვდნენ პროტესტანტებს ტანკებით, ჯავშანტრანსპორტიორებითა და სპეციალური ავტობუსებით და დაუშინეს მათ ყუმბარები ცრემლსადენი გაზით. ამტკიცებენ, რომ პოლიციელები ისროდნენ ცეცხლსასროლი იარაღით. ოპერაციის დროს, რომელიც დაახლოებით ორი საათი გაგრძელდა, ორი პოლიციელი დაიღუპა.



ისტორიის პარადოქსები

# იმას აბრალებენ, რაშიც ბრალეული არ იყო...

წერილი 1

**ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლება, მათ შორის დროც – თითქოს უძრავი, გაყინული. სულ ცოტა ხნის წინათ სკკპ ცკ-ის ჩაწოდებით მეტისმეტად მონდომებული ისტორიკოსები და პოპულარული პუბლიცისტები 1953 წლის დეკემბერში დახვრეტილ მარშალ ლავრენტი ბერიას უცვლელად წარმოსახავდნენ „სტალინური ეპოქის მასობრივი რეპრესიებისა და ტოტალური უკანონობის“ ავბედით სიმბოლოდ. ათწლეულების წინათ სკკპ ცკ-ის მიერ მიწებებული იარლიყი სულ უფრო მუქდებოდა და ავბედითდებოდა. მაგრამ უკანასკნელი პერიოდის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ვნებათაღელვა თანდათან ცხრება და ლავრენტის პიროვნება უფრო აწონილ-დაწონილად განიხილება.**

რამდენი საარქივო მასალა და სამეცნიერო ნაშრომი არ გამოაქვეყნეს ისტორიკოსებმა, როგორ არ მოინდომეს, მაგრამ ვერავითარ დოკუმენტურ მტკიცებულებას ვერ მიაკვლიეს, ვერ აღმოაჩინეს ნიშან-წყალიც კი იმისა, რომ ლუბიანკის მარშალმა დაქვემდებარებული განუსაზღვრელი სამხედრო-სპეციალური შესაძლებლობანი არამც თუ მოქიშპეების – „სტალინური გვარდიის“ წევრთა წინააღმდეგ არ გამოიყენა, არამედ ისე მოხდა, რომ უზარმაზარი ძალაუფლების მფლობელმა თავიც ვერ დაიცვა.

შეთქმულება კი არა, სულაც პირიქითაა: ბერია რეფორმატორულ წამოწყებათა ქარცეცხლში კონკურენტული ბრძოლის, უმაღლესი პარტიული ნომენკლატურისა და არმიის გენერალიტეტის ნაწილის მსხვერპლი გახდა.

ირკვევა: ბერიას სახელთან არასწორად, უსაფუძვლოდ აკავშირებენ ყველაზე მასშტაბურ საბჭოთა რეპრესიებს. არადა, „ხალხის მტრების“ ჟლეტის პიკი იმ პერიოდზე მიდის, როცა შინსახკომს გენრიხ იაგოდა და ნიკოლაი ეჟოვი (1934 წ. ივლისი – 1938 წ. დეკემბერი) ხელმძღვანელობდნენ. დროის ამ მონაკვეთს სრულად სამართლიანად უწოდებენ „დიდ ტერორს“: მხოლოდ 1937-1938 წლებში გამოიტანეს 661692 სასიკვდილო განაჩენი, 3800 ათასამდე მოქალაქე ციხეში გამოკეტეს. ბერიას სახკომობის პერიოდში კი შინსახკომმა გამოიტანა: 1939-ში 2552, 1940-ში – 1649 სასიკვდილო განაჩენი. ისინიც ძირითადად შეეხო სახელმწიფო უშიშროების ასობით ხელმძღვანელ და ოპერატიულ მუშაკს, უკანონო რეპრესიებში უშუალო დამნაშავეებს. კომუნისტური პარტიის კონტროლიდან სახელმწიფო უშიშროების გამოსვლის ხრუშჩოვისეული თეზისი, როგორც რეპრესიების „მთავარი მიზეზი“, მყარად ჩაჯდა ადამიანთა ტვინებში, ანუ ყველაფერში დამნაშავენი იყვნენ ჩეკისტები, პარტია კი შეუბღალავ, უფრთო ანგელოზად რჩებოდა(!ძ.

ბერია შინსახკომს-შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობდა 1938 წლის დეკემბრიდან 1945 წლის 29 დეკემბრამდე, თანაც ისიც სათქმელია, რომ 1943 წლის აპრილიდან შინსახკომიდან უშიშროების ორგანოები გამოჰყვეს. გენერალ პავლე სუდოპლატოვის ავტორიტეტული აზრით, ომისშემდგომ წლებში ბერია ჩამოცილებული იყო სახუშიშროებასთან დაკავშირებული ყველა საქმის კურირებისგან, ინარჩუნებდა მხოლოდ კონტაქტებს საგარეო დაზვერვასთან ატომურ პროგრამებზე ცნობების მისაღებად – როგორც მინისტრთა საბჭოს სპეციალური კომიტეტის ხელმძღვანელი საბჭოთა ბირთვული იარაღის შექმნისთვის.

რუსი სპეციალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ომისშემდგომი ათწლეული აღინიშნებოდა რეპრესირებულთა საერთო რიცხვის მნიშვნელოვანი შემცირებით. თუ ომის დასაწყისში „გულაგში“ 19 მილიონამდე ადამიანი „სახლობდა“ (მათი 28 პროცენტი პოლიტიკური მუხლით იყო გასამართლებულიძ, 1953 წ. 1 იანვრისთვის იქ მხოლოდ 2468524 პატიმარი იმყოფებოდა. ეს რიცხვი თავისთავად დიდი კია, მაგრამ ბევრად ჩამორჩებოდა ხრუშჩოვის მიერ სკკპ XX ყრილობაზე წარდგენილ 10 მილიონს. პოლიტიკური განაჩენი 1946 წლის 123295-დან 1952 წელს 28800-მდე შემცირდა.

ის, რომ 1939 წლიდან რეპრესიების მუხრუჭები მოეშვა, მარტო ზემორე ხსენებული ციფრებით არ მტკიცდება, იმდროინდელ მოვლენათა უშუალო მონაწილეების მოგონებებსაც ემყარება. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა 2008 წელს მოსკოვში, გამომცემლობა „დიზონ ხაუსის“ მიერ დასტამბული წიგნი „სახელმწიფო უშიშროების გენერალი ვ. ა. კაკუჩაია, მოგონებები“. ვარლამ კაკუჩაია (1905- 1982ძ სხვადასხვა დროს მუშაობდა ჩრდილოეთ ირანში, აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სახკომად, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ სახელმწიფო უშიშროების სახკომად, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრად (1953 წელს, რამდენიმე თვეძ. ბერიას დამხობის შემდეგ დააპატიმრეს და 15 წელი მიუსაჯეს.



1939 წ. მაისის შუა რიცხვებში, მაშინ პოლკოვნიკი ვარლამ კაკუჩაია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნეს. იგი უშუალოდ სსრ კავშირის შინსახკომის ახალმა მინისტრმა ლ. პ. ბერიამ გაამწესა ამ ადგილზე და სავარაუდოა, რომ გარკვეული „ინსტრუქტაჟიც“ ჩაუტარა. როგორც მოვლენათა მსვლელობიდან ჩანს, ლ. ბერია 1937-1939 წლებში აფხაზეთში მომხდარ საშინელ უკანონობათა გამოსწორებას ცდილობდა.

აი ერთი დამახასიათებელი მაგალითი.

ბაბუშარის სასოფლო საბჭოს სოფელ ფშაფის მცხოვრებმა ფილიპე ცაავამ პარტიის საოლქო კომიტეტს მიმართა თხოვნით, გამოერკვიათ და მისთვის ეცნობებინათ ძმის ამბაკოს ბედი, რომელიც უკვალოდ დაიკარგა 1937 წელს. საოლქო კომიტეტის მდივანმა კირილე ბეჟვაიამ შინაგან საქმეთა სახკომს დაურეკა. კაკუჩაია კარგად იცნობდა ძმებ ცაავებს, ხოლო დაკარგულ ამბაკოსთან ერთად ოდესღაც სწავლობდა კიდეც სოხუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში. იცოდა, რომ ის აბსოლუტურად აპოლიტიკური კაცი იყო. მაშინვე მოითხოვა ცნობა მასზე.

გაირკვა, რომ ამბაკო ცაავა აფხაზეთის შინსახკომს 1937 წელს დაუპატიმრებია და იმავე დღეს მომკვდარა შინაგან ციხეში. აფხაზეთში იმ წლებში რეპრესირებული იყო ა. კაკუჩაიას ბევრი ახლობელი ადამიანი, არასოდეს რომ არ გაკარებია ანტისაბჭოთა საქმიანობას. მე ვიცოდი, რომ 1937 წელს რაღაც წარმოუდგენელი საშინელება ხდებოდა, მაგრამ როგორ ვიფიქრებდი, ადამიანები იქამდე მივიდნენ, რაც იმ კონკრეტული ფაქტის შემდგომი ძიებისას აღმოვჩინეო, ამბობს ა. კაკუჩაია.

მან ცაავაზე ხელოვნურად შექმნილი საქმე საგულდაგულოდ განჩხრიკა, მაგრამ „ხელმოსაკიდი“ ვერაფერი ნახა. „საქმეში“ ჩაკერებული იყო მხოლოდ პატიმრის ანკეტური მონაცემები, დაპატიმრების ორდერი და აფხაზეთის შინსახკომის სანიტარიული ნაწილის ექიმ აბაკუმოვის ცნობა ცაავას სიკვდილის შესახებ. საქმის შემდგომმა გამოძიებამ სპეცნაწილში აღმოაჩინა მთელი გროვა ექიმ აბაკუმოვის ხელმოწერილი სიკვდილის შესახებ მზა ცნობებისა დიაგნოზით, ბეჭდით. საკმარისი იყო ნებისმიერი ადამიანის მხოლოდ გვარის ჩაწერა და „დოკუმენტი“ მისი „სიკვდილის“ შესახებ მზად იყო. სწორედ ამდაგვარად იყო შევსებული ცაავას სიკვდილის ცნობა.

შინაგანი ციხის უფროსმა ხომენკომ და შინსახკომის კომენდანტმა გამგიამ უჩვენეს, რომ ა. ცაავას მიმართ მიყვანისთანავე გამოიყენეს ფიზიკური ზემოქმედება, რის გამოც ის მალე გარდაიცვალა. მათ აღიარეს, სახკომ ფაჩულიას დროს წამების ასეთი და კიდევ უფრო დახვეწილი მეთოდები საყოველთაოდ, თითქმის ყველა პატიმრის მიმართ გამოიყენებოდაო.

ა. კაკუჩაიამ და კ. ბეჟვაიამ მოხსენებითი ბარათი გაგზავნეს საქ. კპ (ბძ ცკ-ში თხოვნით, კომისია გამოეყოთ აფხაზეთის შინსახკომის ხელმძღვანელობის 1937-1938 წ. წ. დანაშაულობათა გამოსაძიებლად და პასუხისგებაში მისაცემად. კომისია მართლაც შექმნილა საქ. კპ (ბძ ცკ-ის მდივნის ალექსანდრე თოფურიძის თავმჯდომარეობით, წევრები – ა. კაკუჩაია და კ. ბეჟვაია. კომისიამ გამოავლინა შინსახკომის ყოფილი ხელმძღვანელების მიერ დაშვებული უხეში, დანაშაულებრივი დარღვევები.

ადამიანთა ტანჯვა-წამების საშინელი ფაქტების საფუძველზე, კომისიამ მოითხოვა ყოფილი სახკომის ფაჩულიას პასუხისგებაში მიცემა, რომელიც ჯერ კიდევ 1938 წელს იყო მხილებული მხეცურ ქმედებებში. ის „თავხედი ინკვიზიტორი, პროვოკატორი და დახვეწილი ჯალათი“ იყო. შინაგანი ციხის ეზოში ორმო ჰქონდა ამოთხრილი, რომელიც ბეტონით ამოაშენებინა და იქ, დასაშინებლად წელამდე წყალში ამყოფებდა ახალდაპატიმრებულთ.

1938 წელს ფაჩულია გადაარჩინა არანაკლებ ცნობილმა ჯალათმა ქობულოვმა, რომელთანაც ეს ფეხბურთელი და ჩეკისტი წამების წესებს ეუფლებოდა.

თოფურიძის კომისიამ ხელახლა აღძრა ფაჩულიას საქმე. იმ დროს ის სპეციალობით – ფეხბურთით იყო დაკავებული. კომისიამ სცადა პასუხისგებაში მიეცა აგრეთვე მაშინდელი სახკომის მოადგილე ბეჟანოვი, რომელიც იმ დროს ავტომატურად გახდა კაკუჩაიას მოადგილე. კაკუჩაიამ ის ბერიასთან შეთანხმებით სამსახურიდან მოხსნა. მაგრამ ბეჟანოვმა მოსკოვში გაქრომა მოასწრო, სადაც მას ისევ მ. ქობულოვმა უპატრონა. ბაღჩო თვლიდა, რომ საჭირო არ იყო ქართულ საქმეებში ქექვა, სადაც შეიძლება მის ნაკვალევს წასწყდომოდნენ.ქობულოვის რეკომენდაციით, შინსახკომის ლენინგრადის სამმართველოს უფროსმა სერგო გოგოლიძემ ბეჟანოვი თავისთან წაიყვანა ერთ-ერთი განყოფილების უფროსად. ომის დამთავრებისთანავე, თითქოს როგორც წარმატებული მუშაკი, ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ სახელმწიფო უშიშროების სახკომად დანიშნეს, გენერლის სამხრეებიც უბოძეს. ამ თანამდებობიდან ქობულოვმა ბეჟანოვი გერმანიაში გაგზავნა ხელმძღვანელ სამუშაოზე, სადაც მან საბოლოოდ მოიჭრა თავი. ქობულოვის წაქცევისთანავე დააპატიმრეს. ტრიბუნალმა გაასამართლა, მაგრამ უკვე ხრუშჩოვის დროს რეაბილიტაციით გამოუშვეს, როგორც... დაზარალებული.

ბეჟანოვი გამოცდილი გაიძვერა იყო. საკმარისია ითქვას, რომ თავის დროზე საქართველოში კომისიამ ვერ შეძლო მისი, იმ პერიოდის აფხაზეთის მოვლენებში ერთ-ერთი მთავარი დამნაშავის, დოკუმენტურად მხილება. არც ერთ საქმიან ქაღალდზე მისი ხელმოწერა არ იყო, თითქოს იმ წლებში არც ერთ საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიეღოს, თითქოს იქ საერთოდ არა ემუშაოს.

ერთი სიტყვით, როგორც ბეჟანოვს, არც ფაჩულიას შეეხო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, თუმცა საამისოდ უამრავი საფუძველი არსებობდა. როგორც ჩანს, ამის მითითება მოსკოვიდან მიიღეს.

კომისიამ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა გამო მაინც მოახერხა 6 ჩეკისტის – სერებ რიაკოვის, ფალფელზონის, დენისოვის, გრიგორიადის და სხვ. გასამართლება, ისინი სხვათა შორის, მოსკოვის სანქციის გარეშე მისცეს პასუხისგებაში.

ფაჩულიამ ისარგებლა ხრუჩოვის პერიოდის ხელსაყრელი ვითარებით და პროვოკაციული ჩვენებები მისცა კაკუჩაიაზე. მაგრამ ვერც იმან უშველა. 1956 წელს დააპატიმრეს საქართველოს კომისიის 1939 წლის დასკვნის საფუძველზე. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტრიბუნალმა დახვრეტა მიუსაჯა, თუმცა შემდეგ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეიწყალა და დახვრეტა 25 წლის პატიმრობით შეუცვალა.

უეჭველია, რომ კაკუჩაიას ნაამბობი, პირდაპირ არის დაკავშირებული ლავრენტის მიერ უშიშროების ორგანოებში მისვლის უმალ გატარებულ სიახლეებთან. თუმცა მას არც ეს ჩაუთვალეს. 2001 წელს რუსეთში ლუბიანკის მარშლის რეაბილიტაციის საკითხი იურიდიულ სიბრტყეში გადაიტანეს. ამ პროცესის ერთ-ერთი ინიციატორი ბერიას აწ განსვენებული ვაჟი, ნიჭიერი სამხედრო ინჟინერი სერგო გეგეჭკორი (ბერიაძ იყო (გვარი მამამისის დამხობის შემდეგ შეუცვალესძ. ბრალდებები სისხლის სამართლის ნაწილში, „ყბადაღებული „სამშობლოს ღალატის“ ჩათვლით, მოუხსნეს, მაგრამ მისი სრული რეაბილიტაცია ვერ გაბედეს.

**სანდრო ალექსიძე**

თაობა

## კეთილი გულით მიძღვნილი

**საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის, 90 წელს მიტანებული ქალბატონის სარა კერესელიძის შრომითი ბიოგრაფია ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსის საშუალო სკოლიდან იწყება...**

**ქალბატონ სარას ძალიან უყვარს და ზოგჯერ საკუთარი შვილებისგან და შვილიშვილებისგან არ განასხვავებს საუკეთესო მოსწავლეებს, რომელთაც ყოველმხრივ გაამართლეს მისი იმედები, მათ შორისაა ამირან მექვაბიშვილი – პროფესორი, თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.**

**და აი, ამას წინათ ქალბატონ სარას თავისმა შვილმა გულიკომ სხვა სასიკეთო ამბებთან ერთად ისიც ახარა, რომ მის მოსწავლეს, ბატონ ამირან მექვაბიშვილს უკვე მეცხრე შვილთაშვილი შესძენია, რომელსაც დიდი ილიას სახელი დაარქვეს.**

**ქალბატონ სარას სიხარული ჩაუდგა თვალებში...**

**მან მაშინვე ჩააწიკწიკა და გაუგზავნა ამირანს მილოცვის ბარათი.**

**აი, ეს ბარათიც:**



**ყველა სიკეთითა და სიყვარულით სავსე გულწრფელი სალამი ბატონ ამირანს**

გილოცავთ წლის ყველა დღესასწაულს, თქვენთან ერთად ვულოცავ თქვენს მეუღლეს და თქვენი მრავალრიცხოვანი ოჯახის ყველა წევრს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, ყოველდღიურ და მუდმივ, ჯანღონით სავსე უთვალავ წლებს.

სასიხარულოა, რომ შეგეძინათ მეცხრე შვილთაშვილი, პატარა, უსაყვარლესი ილია, თქვენს მდიდარ გენებს მის ორგანიზმში მოეყაროს თავი და დამდგარიყოს ჩვენი ქვეყნისა და ერის სასიქადულო მამულიშვილი!

**მაღლა ციდან მესმის,**
**ანგელოზთა ტკბილი**
**სიმღერა და გალობა,**
**ღმერთმა და ყველა**
**სალოცავმა არ მოგაკლოთ**
**მრავალმხრივი სიკეთე**
**და წყალობა.**

ბატონო ამირან, მე თქვენგან დიდად პატივნაცემი ვარ. ტრავმა რომ მივიღე, მაშინვე მინახულეთ, და საერთოდ, ყოველთვის დიდი ყურადღებით ხართ ჩემს მიმართ. ღმერთმა გადაგიხადოთ სიკეთით.

მე სრულიად უმნიშვნელო რამეს გიგზავნით მატერიალური თვალსაზრისით თქვენი პატარა ვაჟკაცისთვის, წიგნს – „ჩემი პირველი ანბანი“, მაგრამ ნამდვილი მოსიყვარულე გულით არის დალოცვილი და ისეთი უმაღლესი შეგნებისა და განათლების ადამიანი, როგორიც თქვენ ხართ, იმედია, არ დამძრახავთ მცირედისათვის.

მე თქვენთვის, გარდა მასწავლებლისა, ნათლიაც ვარ, რადგან გნათლავთ მექვაბიშვილთა გვარის ვარსკვლავად. გამრავლებულიყოს და გაძლიერებულიყოს თქვენი შთამომავლობა და გვარი!

დიდი სიყვარულით და პატივისცემით,

**თქვენი მასწავლებელი**
**სარა კერესელიძე.**

ჩემპიონთა ლიგა

# ჯერ გადახტი...

**მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგიდან „მილანი“ და „რომა“ გამოვარდნენ, იტალიის ერთადერთ იმედად „ინტერი“ დარჩა.**

**იმედი იმედია, მაგრამ მთლად საფუძვლიანი არც ეს ოპტიმიზმი გახლდათ, რადგან მოქმედ ტრიუმფატორს არც მეტი, არც ნაკლები მიუნხენის „ბაიერნის“ წინაღობა უნდა დაეძლია, რომელსაც პირველი რაუნდი მილანში ჰქონდა მოგებული – 1:0.**

ევროტურნირების ნახევარსაუკუნოვანი მატიანე მოწმობს, რაოდენ რთულია საკუთარ მინდორზე გაფუჭებული საქმის გამოსწორება, მით უმეტეს მაშინ, როცა მწვრთნელს გამოგიცვლიან, თანაც საკადრო პრობლემებს განიცდი. ამ ნამდვილად გასათვალისწინებელ ფაქტორებს გამამართლებელ საბუთად ბევრი დაიხვევდა ხელზე, მაგრამ არა ისეთი თავმოყვარე სპეციალისტი, როგორიცაა ლეონარდო, რომელიც სტუმრადაც საკუთარი პრინციპების ერთგული აღმოჩნდა და, მთელი რიგი სირთულეების მიუხედავად, საკუთარი ტაქტიკური კრედოს წარმატებით იხარა – 3:2 (ეტოო, სნეიდერი, პანდევი; გომესი, მიულერი).



სხვათა შორის, ბუნდესლიგაში უჩვეულოდ სუსტად მოთამაშე ბავარიელებმა დაწინაურება მეკარე ჟულიუ სეზარისა და ლუსიუს უხეში შეცდომების შედეგად მოახერხეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც მიულერმა, რიბერიმ და რობენმა ანგარიშის გაზრდის რეალური შანსები გაფლანგეს, გაცხადდა, რომ მათ იღბალი განუდგა. მართლაც, უზერებელი ეტოოს ძალისხმევით (მან თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილ გოლს ორი შედეგიანი გადაცემა დაუმატა) „შავ-ლურჯებმა“ ზღაპარი რეალობად აქციეს, რითაც ვან გაალის შემდგომ მიუნხენურ კარიერას წირვა გამოუყვანეს.




**„მანჩესტერი“ – „მარსელი“ 2:1 (ჩიჩარიტო – 2; ჰაინცე).**

* * *

გუშინ გაიმართა ეროვნული ჩემპიონატის XXV ტურის მატჩები. გაუწყებთ მათ შედეგებს:

**„სამტრედია“ – „ზესტაფონი“ 0:1,**

**„კოლხეთი“ – „ოლიმპი“ 0:0,**

**„ვიტ ჯორჯია“ – „ტორპედო“ 2:1,**

**„სიონი“ – „დინამო“ 0:2,**

**„ბაია“ – „ცხინვალი“ 2:0.**

**გიორგი შოთაძე**

სიტუაცია

# ქვა აღმართში...

**„ბარსელონას“ ქომაგებს ჯერ კაპიტან პუიოლის გაჭიანურებული მკურნალობა არ მოენელებინათ, რომ „სევილიასთან“ ფრედ – 1:1 დასრულებულ მატჩში ერთბაშად ხუთი(!) მოთამაშე დაუშავდათ.**



თუ დანი ალვეშის, ადრიანოსა და მესის მდგომარეობა შედარებით საიმედოა და ისინი სავარაუდოდ შეძლებენ „ხეტაფეს“ წინააღმდეგ შაბათს მინდორზე გასვლას, ამასვე ვერ ვიტყვით მაქსველისა და პედროს შესახებ, რომელთა ტრავმების მოშუშებასაც, ალბათ, რამდენიმე კვირა დაჭირდება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

კრიმინალი

# შენც, ბრუტუს...

**ამ დღეებში სამართალდამცავებმა თაღლითობის ბრალდებით ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „ნორჩი დინამოელის“ დირექტორი ოთარ შენგელია დააკავეს.**

ბატონი ოთარი, კარგა ხანია, საყვარელ საქმეს ემსახურება და ტყავის ბურთის ცნობილი ოსტატები ზარზენ ებრალიძე, თამაზ კოსტავა და სხვა მეწილეები კატეგორიულად გამორიცხავენ მის რაიმე ფორმით მონაწილეობას დანაშაულებრივ სქემაში.

იგი უკანასკნელ ხანს „ნორჩი დინამოელის“ სარეკონსტრუქციო სამუშაოებით იყო დაკავებული და ამ მიზნით ერთ-ერთი ებრაელი ბიზნესმენი გაიცნოო, – დასძინეს მათ.



ბუნებრივია, მეგობარი ქვეყნის ქვეშევრდომის ხსენებაზე მისსავე თანამემამულეებთან დაკავშირებული ამასწინანდელი გახმაურებული სკანდალი გაგვახსენდა.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები ამჯერად.

**საქ. ინფ.**

64 უჯრა

# ჯიქურ შეიჭრა

**სვეტოზარ გლიგორიჩი (1923, ბელგრადი), საერთაშორისო დიდოსტატი (1951), საერთაშორისო არბიტრი, ჟურნალისტი, ყოფილი იუგოსლავიის 11-გზის ჩემპიონი.**



1950 წელს იუგოსლავიის გუნდმა ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო 1958 წლის ოლიმპიადაზე სვეტოზარ გლიგორიჩმა I დაფაზე 12 ქულით 15 შესაძლებლიდან საუკეთესო შედეგი აჩვენა – გაუსწრო იმ დროის ყველა ტიტულოვან მოჭადრაკეს, მათ შორის – მიხეილ ბოტვინიკს. გლიგორიჩი დინამიკური სტილის დიდოსტატი გახლდათ. მან საგრძნობლად განავითარა ძველინდური და გრიუნფელდის დაცვების თეორიული სისტემები.



**გლიგორიჩი – როზენშტეინი 1963**

**ლაზიერი ჯიქურ შეიჭრა მოწინააღმდეგის ბანაკში, თავი გაწირა, მაგრამ გზა გაუხსნა თანამებრძოლებს.**

მოამზადა

**თამაზ შენგელიამ**

1. ლ:e7+! – ლ:e7
2. ჰd6 – ლd6
3. ეe8X

მძლეოსნობა

# საკუთარი რეკორდი დაამხობინა

**როგორც ფრანგული რეიმსიდან იტყობინებიან, ფრანგმა ჟან დინიზმა დაამხო მსოფლიო რეკორდი სპორტულ სიარულში 50-კილომეტრიან დისტანციაზე ტრეკის ბილიკებზე – 3.35.27. ძველი მიღწევა 1996 წლიდან ეკუთვნოდა ტიერი ტიუტენს – 3,40.57. აღსანიშნავია, რომ ახალი რეკორდი სწორედ მისი ხელმძღვანელობით დაამყარა დინიზმა – ევროპის ორგზის ჩემპიონმა (2006 და 2010 წლებში) 50-კილომეტრიან დისტანციაზე.**



ინტერნეტიდან

## საათი გაჩერდა




**მან მხოლოდ რამდენიმე საათი იმუშავა და გაჩერდა, არადა 2011 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე დარჩენილი დრო უნდა აეთვალა. ახლა საათი უჩვენებს 500 დღეს, 7 საათს, 6 წუთსა და 56 წამს.**

ფირმა „Omega“-ს მიერ დამზადებული საათის ზომებია 6,5 მეტრი 5,5 მეტრზე და იწონის თითქმის ხუთ ტონას. ის მოათავსეს ნელსონის სვეტისა და ეროვნული გალერეის მახლობლად.

„ჩვენ ძალზე შეწუხებულნი ვართ, რომ საათს ტექნიკური ხარვეზები აღმოაჩნდა, – განაცხადა ფირმის წარმომადგენელმა, – ახლა ვცდილობთ ყველაფრის გამოსწორებას.“

## ოლიმპიურ ფულს იპარავენ?!

**რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა დაავალა პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინს და გენერალურ პროკურორს იური ჩაიკას, შეამოწმონ 2014 წლის სოჭის ოლიმპიადისთვის ობიექტების სამშენებლო მასალებზე ფასების მომატების ფაქტები და დამნაშავენი პასუხისგებაში მისცენ.**




კრემლის კონტროლის სამმართველოს უფროსმა კონსტანტინე ჩუიჩენკომ პრეზიდენტს მოახსენა, რომ მისმა ორგანიზაციამ შეამოწმა, თუ როგორ ყალიბდება ფასები ოლიმპიადის ობიექტებისთვის საშენებლო მასალებზე. „მთავრობამ ბევრი რამ გააკეთა ხარჯების ოპტიმიზაციისთვის. ზოგიერთ პროექტზე რეალურად შემცირდა ღირებულება“, – აღნიშნა მან. ამასთან კონტროლის სამმართველომ გამოავლინა არასასიამოვნო ფაქტები, რაც დაკავშირებულია ფასების წარმოქმნასთან ფხვიერ მასალებზე – ქვიშა-ხრეშის ნარევსა და ღორღზე. ჩუიჩენკოს განცხადებით, ამ მასალებზე ფასები გაიზარდა ტონაზე 360 რუბლიდან 800 რუბლამდე, მაშინ, როდესაც რუსეთში მისი საშუალო ფასი 250-400 რუბლია. ყველაზე მაღალი ფასი კი შორეულ აღმოსავლეთშია.

## ჩოგბურთს ხელს არ უშლის

**ძალზე სერიოზულ პრობლემას შეეჯახა ახალგაზრდა და პერსპექტიული ბულგარელი ჩოგბურთელი ნადია უზჩევა. რათა, რაც შეიძლება, მაღალ შედეგებს მიაღწიოს მაგიდის ჩოგბურთში, ლამაზმანმა უნდა მოიცილოს... დიდი მკერდი.**



ახალგაზრდობის მიუხედავად ნატალია პოპულარულია სამშობლოშიც და მის საზღვრებს გარეთაც. თუმცა პროფესიონალურ სპორტში დიდი წარმატებები არ მოუპოვებია, მისი თამაშის სანახავად მაინც უამრავი თაყვანისმცემელი იკრიბება, რაც მისი 125-სანტიმეტრიანი მკერდის „ბრალია“.

სპორტის ისეთი დინამიკური სახეობისთვის, როგორიც მაგიდის ჩოგბურთია, ასეთი ბარაქიანი მკერდი მართლაც დაბრკოლებას ქმნის, ამიტომაც ქალიშვილმა გადაწყვიტა მკერდის დასაპატარავებლად გერმანიაში წასვლა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, გულშემატკივრების მოთხოვნით, მან ასეთი ნაბიჯი გადაიფიქრა.

## ჩვენი კარაბადინი

**მკვლევარებმა მოაწყვეს ექსპერიმენტების სერია, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ადამიანის აზრი მატერიალურია, იგი ექვემდებარება შეგნებულ მართვას.**

**აზრი გადაეცემა მანძილზე მატერიალური მატარებლის გარეშე. ინტელექტი ადამიანისთვის არის დაცვა გარეშე ნებისყოფის ზემოქმედებისგან. ამ დასკვნებს თან ახლავს მეცნიერული სიახლე, მაგრამ მეცნიერების უმრავლესობისთვის ეს დღემდე ცხადი როდია.**

# აზრის ძალა



### „ბრმა“ ექსპერიმენტი

**ტელეპათიის – მანძილზე აზრის გადაცემის – შესწავლა მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სანქტ-პეტერბურგის საინფორმაციო ტექნოლოგიების, მექანიკისა და ოპტიკის უნივერსიტეტში (ადრე მას ლენინგრადის სამეცნიერო მექანიკისა და ოპტიკის ინსტიტუტი ეწოდებოდა). კომპიუტერული თბოფიზიკისა და ენერგოფიზიკური მონიტორინგის კათედრის გამგე გენადი დულნევი ამ გამოკვლევებს იწყებდა იმ წლებში, როდესაც „მატერიალიზმის იდეოლოგიის ზეიმი“ გამორიცხავდა თავად საკითხის დასმას აზრის მატერიალურობის შესახებ.**

მაგრამ იმ ფაქტებზე უარის თქმა, რომლებიც იდეოლოგიას ეჭვის ქვეშ აყენებდნენ, სულ უფრო და უფრო ძნელი ხდებოდა. ლენინგრადის მრავალ არაფორმალურ მოედანზე თავის გასაოცარ ცდებს აწარმოებდა ნინელ კულაგინა. ის, მაგალითად, იწვევდა გამოსაცდელ ადამიანში, მასთან შეუხებლად, დამწვრობის რეალურ შეგრძნებას – ამ დროს ადამიანი წამოიყვირებდა ხოლმე ტკივილისგან. ფენომენის ამოსახსნელად მიმართავდნენ ფიზიკოსებსა და ბიოლოგებს, რომლებიც კულაგინას ეფექტის უარყოფის პოზიციიდან ეძებდნენ ფარულ ხრიკს, ხოლო როდესაც ამას ვერ ნახულობდნენ, უარს ამბობდნენ ამოცანის გადაწყვეტაზე.

როდესაც ამ ამოცანის გადაჭრაში ჩართეს პროფესორი დულნევი, ის ამ უცნაურ მოვლენას მიუდგა წინასწარშექმნილი ცუდი აზრის გარეშე, როგორც თბოფიზიკოსმა, მან გადაწყვიტა: ვინაიდან ადგილი აქვს ტემპერატურის ავარდნას, უნდა გამოვიყენოთ თერმოგადამცემი. მალე გამოირკვა, რომ დამწვრობის მწვავე შეგრძნების დროს გამოსაცდელის კანის ტემპერატურა მაღლა არ იწევდა. მაშასადამე, „ფოკუსის“ მარტივი ახსნა არ არსებობს.

პროფესორი დულნევი ეშმაკობაზე წავიდა: მან არაფერი უთხრა ნინელს და იმ მაგიდის ქვეშ, რომელთანაც იგი იჯდა ცდების წარმოების დროს, მოათავსა ელექტრომაგნიტური „სარევი“ – მოწყობილობა, რომელიც ქმნიდა მბრუნავ მაგნიტურ ველს. როდესაც მეცნიერმა შეუმჩნევლად ჩართო ხელსაწყო, კულაგინას უნარი უმალვე იკარგებოდა, ალარაფერი გამოსდიოდა, იწყებდა ნერვიულობას. საკმარისი იყო გამოგერთო ელექტრომაგნიტური ველი – და კულაგინა კვლავ აღწევდა ეფექტს.

დულნევისთვის ეს „ბრმა ექსპერიმენტი“ ნიშნავდა, რომ, ჯერ ერთი, ნინელ კულაგინას უნარი უეჭველია (მაშინ მეცნიერების კონსერვატორები არ ერიდებოდნენ საჯარო ბრალდებას იმაში, რომ ის ქალი აფერისტია, რამაც კულაგინას ადრე სიკვდილიც გამოიწვია). მეორეც, აზრის ენერგიას აქვს გრიგალური სტრუქტურა: ველის ბრუნვა ამ ენერგიას ფანტავს.

### ქაოსის ზომა

**შემდგომი კვლევებისთვის პრინციპული აღმოჩნდა ენერგიის გადაცემის, ესე იგი გაფანტვის გამოგონება. სხეულსა და გარემოს შორის ტემპერატურის სხვაობის გამზომი გადამცემი მაგრდებოდა ბიოლოგიურად აქტიურ წერტილში და ფაქტობრივად ზომავდა „ქაოსის ზომას“, რაც საშუალებას იძლეოდა, გვემსჯელა ადამიანის ინტელექტუალურ მდგომარეობაზე.**

ექსპერიმენტის სერიებს ენთროპიის გადამცემის გამოყენებით უნივერსიტეტის სტუდენტთა აუდიტორიებში პროფესორ დულნევის ხელმძღვანელობით აწყობდა ინა სტრაუმეისტერი. საცდელად კი მკვლევარებმა მიიწვიეს ილია დუნაევსკი – ექსტრასენსი, ვისი უნარიც ეჭვს არ იწვევდა.

ის იჯდა კათედრაზე და, ექსპერიმენტის პირობის შესაბამისად, ლექციის 50-ე წუთზე იწყებდა სტუდენტებზე ინტელექტუალურ ზემოქმედებას, კერძოდ კი: გონებრივად აშორებდა მათ ლექციის თემიდან, შეჰქონდა დაბრკოლებები მათი აზროვნების პროცესში. ენთროპიის გადამცემები მიმაგრებული ჰქონდათ შუბლზე ხუთ სტუდენტს, რომლებიც შენობის სხვა ნაწილში ისხდნენ ლექციაზე. ექსპერიმენტის არსის შესახებ მათ არაფერი იცოდნენ.

საცდელები განზრახ დაჰყვეს უნარის მიხედვით: ფრიადოსანი, კარგოსანი, სტუდენტი, ვისაც სამიანები ჰყავდა მეოთხედში და ოროსანი. ლექციის დროს ფრიადოსანს ქაოსის ზომა თანდათან უქვეითდებოდა (ესე იგი იზრდებოდა მისი ყურადღების კონცენტრაცია), ხოლო 50-ე წუთზე მხოლოდ ოდნავ შესამჩნევად აიწია ზევით.

კარგოსანიც ნელა აქვეითებდა ენთროპიის ხარისხს, მაგრამ 50-ე წუთზე მას რაღაც მოუვიდა: ქაოსის მკვეთრი ნახტომი ზევით, და – სტუდენტის სრული დეზორიენტაცია.

სამოსანი და ისიც, ვინც მერყეობდა 3-სა და 4-ს შორის, იქცეოდნენ ერთნაირად: თავდაპირველად ქაოსის დაბალი ზომის დროს ექსპერიმენტში მონაწილეობა მათში არ იწვევდა არც განსაკუთრებულ მღელვარებას, არც ინტერესს. თანდათანობით ქაოსი იზრდებოდა – ლექციის ნაკლებადგასაგები მასალა სულ უფრო ძლიერ აღიზიანებდა. 50-ე წუთზე ქაოსი მაქსიმუმს აღწევდა.

ოროსანი თავიდან აჩვენებდა ქაოსის ნულოვან მნიშვნელობას – თითქოს ლექციაზე არც ყოფილიყოს, ქაოსის ზომა თანდათან იზრდებოდა, სამაგიეროდ, 50-ე წუთმა აჩვენა გრაფიკის ქვევით ჩავარდნა: გარეგანი ჩარევა მას ახალისებდა და სრულიად თიშავდა მომხდარისგან.

რა აღმოაჩნდათ ხუთივე სტუდენტს საერთო: კრიტიკული 50-ე წუთი იწვევდა მეხსიერების ხანმოკლე დაკარგვას. ამით დადასტურდა ადამიანების ცნობიერებაზე დისტანტური, ტელეპათიური ზემოქმედება. გარეგან მოქმედებაზე რეაქცია განსხვავდებოდა ინტელექტის შესაბამისად: ძლიერი ერთგვარი დაცვა იყო, უფრო სუსტი ნებდებოდა, სულ სუსტი ვერც კი აცნობიერებდა ინტელექტუალურ აგრესიას.

ექსპერიმენტების მეორე სერიაში გაზომეს ქაოსის ხარისხი ინტეგრალების გამოანგარიშების პროცესში. გადამცემები ამ შემთხვევაში დაყენებული იყო ინტელექტუალურ და ემოციურ ცენტრებზე. და აი, ქაოსის ზომა ინტელექტუალურ ცენტრებში ამაღლდა, ემოციურში კი – შემცირდა.

– დავრწმუნდით, – ამბობს გენადი დულნევი, – რომ ადამიანზე გარეგანი ინტელექტუალური ზემოქმედება, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ ობიექტურ რეალობად, ხვდება დაბრკოლებას მისი ინტელექტუალური სფეროს სახით. რაც უფრო განვითარებულია იგი, მით უფრო საგრძნობი დაბრკოლება იქცევა დაცვად. სუსტი ინტელექტი კი ადამიანს ხდის უფრო მოწყვლადს გარეშე მოქმედებისადმი.

**დაბალი ინტელექტი ადამიანს გარემო ზემოქმედებისაგან ნაკლებად დაცულს ხდის**

### კანონზომიერებანი და შემთხვევითობები

**ინფორმაცია, რომლის ნაკადებთანაც მუშაობენ უნივერსიტეტის მეცნიერები, ეს არის ხიდი ადამიანის მატერიალურ და ფაქიზ სამყაროთა შორის. ინფორმაციის რაოდენობრივად გაზომვა დიდი ხანია ისწავლეს. ხარისხობრივად კი მისი ურთიერთმოქმედება შემეცნებასთან ბუნდოვნად აქვთ წარმოდგენილი. თუმცა ცხოვრებისეული გამოცდილება გვასწავლის: სიტყვით შეიძლება მოკლა კიდეც.**

ჩვენს ტვინს განასხვავებენ სტაბილური, კანონზომიერი ინფორმაციული და ტურბოლენტური, შემთხვევითი ნაკადები. დულნევის მოსაზრებით, ცნობიერების ჰარმონიული მდგომარეობა წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ორი ნაკადი თანაფარდია ოქროს კვეთის პროპორციაში: დაახლოებით 60 პროცენტი ეკონომიკურ და 40 პროცენტი შემთხვევით ინფორმაციაში. ასეთ პროპორციას ეხმაურება ჩვენი ტვინიც დადებითად. ოქროს პროპორციის დარღვევას შეიძლება მოჰყვეს ინტელექტუალური პრობლემები.

ადამიანის ჯანმრთელობა, დულნევის აზრით, ასევე ოპტიმალურია კანონზომიერებათა 60 პროცენტისა და შემთხვევითობათა 40 პროცენტის დროს. ამჟამად მთავრდება მუშაობა ხელსაწყოზე, რომელიც მკურნალობას აფასებს ქაოსის ზომის კრიტერიუმით. მკვლევარებს სჯერათ, რომ: ის საშუალებას მოგვცემს მედიცინის გარეშე ხერხით გავზომოთ მკურნალობის მეთოდის ეფექტიანობა და პრეპარატები.

**საველი კაშნიცკი**

## ინფორმაცია

### პატივი მიაგეს ომში დაღუპულ ქართველ და აფხაზ მეომრებს

**ომის ვეტერანებმა და აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლებმა სოხუმზე ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური შეტევის დღე გაიხსენეს. ისინი გმირთა მოედანზე მივიდნენ და მემორიალი გვირგვინებით შეამკეს.**

**მეომართა ხსოვნას პატივი მიაგეს დევნილთა სამოქალაქო კოალიციის წევრებმაც. იძულებით გადაადგილებულმა პირებმა 15 მარტის მოვლენები გაიხსენეს და აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის მიერ განხორციელებულ ძალადობაზე ისაუბრეს.**

**ისინი აღნიშნავდნენ, რომ ეს ქართულ-აფხაზური ომი არ ყოფილა და ქართველ მებრძოლებთან ერთად, მათ ომში დაღუპულ აფხაზ მეომრებსაც მიაგეს პატივი.**

**აღნიშნულის პარალელურად, მემორიალის სკვერში 15-16 მარტს სოხუმზე განხორციელებული შეტევის ამსახველი ფოტოები გამოიფინა.**

### დამწვრობის ცენტრი ახალ შენობაში გადადის

**თერმული დაზიანების ცენტრი რეფერალურ ჰოსპიტალში განთავსდება და თავდაპირველად 120 საწოლზე იქნება გათვლილი.**

**ჯანდაცვის მინისტრმა ანდრია ურუშაძემ შენობა დაათვალიერა და კლინიკის თანამშრომლებს შეხვდა.**

**მინისტრის განცხადებით, იმ 70 ექიმს, რომლებიც ამჟამად დამწვრობის ცენტრში მუშაობენ, კონტრაქტები გაუგრძელდებათ და ახალ შენობაში განაგრძობენ მუშაობას.**

**ამჟამად შენობაში რემონტი მიმდინარეობს და მისი გახსნა, სავარაუდოდ, სექტემბერში იგეგმება.**

### გარდაიცვალა პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელი მონაწილე

**ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელი მონაწილე 110 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაციას ბრიტანული ტელეკომპანია „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.**

**ფრენკ ბაკლსი, რომელიც პირველ მსოფლიო ომში 16 წლის წავიდა დასავლეთ ვირჯინიაში სამხედრო წესის მიხედვით დაკრძალეს.**

**პირველი მსოფლიო ომში მონაწილე უკანასკნელი ამერიკელის ხსოვნას პატივი აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმაც მიაგეს, რომლებიც გარდაცვლილთან გამოსათხოვებლად ჩავიდნენ.**

**შეგახსენებთ, რომ პირველ მსოფლიო ომში დაახლოებით ხუთი მილიონი ამერიკელი სამხედრო მონაწილეობდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

---

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ფიზიოლოგი, აკადემიკოსი

ვაჟა ოკუჯავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

არკადი ჟორდანიას სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი

ვაჟა ოკუჯავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თსსუ-ს №1 სტომატოლოგიური კლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ კლინიკის დირექტორს, ბატონ დავით ხვედელიანს დეიდის

მერი ქევანიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

## განცხადება

**2011 წლის 5 აპრილს ს.ს. „სოფლმომარაგება“ მართავს აქციონერთა საერთო კრებას 11 სთ-ზე, მის: გარდაბნის რაიონი სოფ. ალთაკლია.**

**დღის წესრიგი:**

1. 2010 წლის ანგარიში;
2. ს.ს. „სოფლმომარაგების“ კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების შესაძლო რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები;
3. სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხები.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სააღრიცხვო თარიღად მიჩნეულია 11 მარტი. აქციონერებს თავიანთი უფლებამოსილების შემოწმება შეუძლიათ შპს „კაპიტალ რეგისტრში“.

**სამეთვალყურეო საბჭო**

## განცხადება

**სააქციო საზოგადოება „იმედი“ იწვევს თავის აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე 2011 წლის 12 აპრილს 13 საათზე კრწანისის ქ. №3.**

**დღის წესრიგი:**

1. სააქციო საზოგადოება „იმედის“ ანგარიში ფინანსური საქმიანობის შესახებ, რომელიც მოიცავს 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე პერიოდს.
2. სააქციო საზოგადოება „იმედის“ 2010 წლის მოგება-ზარალის განხილვა.
3. აუდიტის მოწვევა.

**სააქციო საზოგადოება „იმედის“ სამეთვალყურეო საბჭო**

## დაიჯესტი

### დიდი „წერილი ქალიშვილებს“



**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საბავშვო წიგნი დაწერა.** შარშან, 16 ნოემბერს, მრავალი დიდი ქალაქის წიგნის მაღაზიების დახლებზე მისი წიგნი გამოჩნდა, რომელსაც ავტორმა „შენზე ვმღერი: წერილი ჩემს ქალიშვილებს“ დაარქვა. თავისი შემოქმედება ქვეყნის პირველმა პირმა ცამეტ გამოჩენილ თანამემამულეს მიუძღვნა.

### აბა, სახლის ნაწილები იაფად!



**ევროპაში სამსახურებრივი მივლინებიდან შინ დაბრუნებული 50 წლის რუსეთელი იური კონსტანტინოვი ლამის ჭკუიდან გადადგა, როცა თავისი ორსართულიანი სახლი... ადგილზე არ დახვდა.** უცნობ ბოროტმოქმედებს მისი საცხოვრისი ნაწილ-ნაწილ დაეშალათ ისე, რომ ადგილზე საძირკველიღა დარჩა. გამოძიებამ მხოლოდ იმის დადგენა შეძლო, რომ მეზობლებს ქურდებმა თავი სამშენებლო ფირმის წარმომადგენლებად გააცნეს და დემონტაჟის უფლების გაყალბებული საბუთი წარუდგინეს. როგორც ჩანს, ბატონ კონსტანტინოვის სახლი, როგორც ასეთი, ბუნებაში აღარ არსებობს, რადგან, თითქმის დანამდვილებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი ნაწილ-ნაწილებად დაშალეს, სამშენებლო მასალა კი შავ ბაზარზე გაყიდეს.

### მიირთვით, გეთაყვა ავზის ხორცის მწვადი!

**2025 წლისთვის კაცობრიობას სინთეტური ხორცის წარმოების აწყობა მოუწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლეობას, რომელიც ამ თარიღისთვის 9 მილიარდ ადამიანს მიაღწევს, საყოველთაო შიმშილი ემუქრება.** ბრიტანეთის სამეფო საზოგადოებამ მომავლის საკვების რესურსების თაობაზე 21 მოხსენება გამოაქვეყნა, რომელთა ავტორები, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები, აცხადებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის საწარმოებლად გამოსადეგი მიწები ცოტაღა დარჩა,



უახლოეს 40 წელიწადში მსოფლიო საკვები რესურსების 70 პროცენტით გაზრდა სავსებით რეალურია.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ატმოსფეროს სასათბურე გაზების, ასევე გაუმჯობესებული სასუქებისა და ქიმიკატების გამოყენებით მოსავლიანობის გაზრდა და, ამასთან, სარწყავი წყლის მოხმარების შემცირება, რამდენჯერმე შესაძლებელი. ვარაუდობენ, რომ ხორცისა და რძის წარმოების მეთოდიკა რადიკალურად შეიცვლება: ხელოვნურ ხორცს საგანგებო ავზებში გამოიყვანენ.

### ისე, კაცმა ყველაფერი უნდა ნახო



**ტურისტულმა პორტალმა „თრიფედვიზორმა“ ევროპის ათი ყველაზე ლამაზი და მნახველთათვის მიმზიდველი ქალაქის ნუსხა გამოაქვეყნა.** პირველ ადგილზეა ბელგიის ქალაქი **ბრიუგე,** მეორეზე – იტალიური **სიენა,** მესამეზე კი ესპანეთის კატალონიის პროვინციის ქალაქი **სიხესი.** ხუთეულის „ჩამკეტი“ ლამაზი ქალაქები არიან ირლანდიური დინგლუ და გერმანული **მიტენვალდი.** მომდევნო ადგილებზე რეიტინგში არიან: 6. **სოლსბერი** (ინგლისი); 7. **ფონტენ-დე-ვოკლუზი** (საფრანგეთი); 8. **კაშკაიში** (პორტუგალია); 9. **კრუმლოვი** (ჩეხეთი) და 10. **კოტორი** (მონტე ნეგრო).

### სიცოცხლის გამახანგრძლივებელი ძილი



**ადამიანებში, ვისაც ცუდად ან ცოტა სძინავთ, შიდა ანთებების რისკი უფრო მაღალია, რაც გულის დაავადებათა განვითარების რისკ-ფაქტორია.**

ამერიკელმა კარდიოლოგებმა საშუალო ასაკის 525 კაცი გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ ჯანსაღი ძილის ქრონიკული უკმარისობა ანთებითი ჰორმონების ჭარბ წარმოებასა და სისხლძარღვთა ცვლილებას იწვევს.

ანთებითი პროცესები ძილის ცუდი ხარისხის დროს გულის დაავადებათა და ინსულტის ალბათობას ზრდიან. ისინი, ვინც დღეღამეში 7-8 საათ ნორმალურ ძილს ახერხებენ, იმათზე უფრო დიდხანს ცხოვრობენ, ვიდრე ისინი, ვისაც უძილობა სჭირთ.

## ცნობისმოყვარეთათვის

## სად, რა, როდის?

● მიუხედავად იმისა, რომ მისი სახელი ბერძნული სიტყვისაგან „მარგალიტისაგან“ წარმოიშვა, არაფერი აქვს საერთო ამ ძვირფას ქვასთან. ის 1870 წელს შექმნა ფრანგმა ქიმიკოსმა მურიემ და ამით უფრო მეტად ღარიბი ფენაა მადლობელი, რადგანაც ეს გახლდათ მარგარინი.

● ყველაზე ძველ და დღემდე ძალაში მყოფ მოლაპარაკებას ორ ქვეყანას შორის კავშირზე 1373 წლის 16 ივნისს მოეწერა ხელი და ეს ქვეყნები იყვნენ პორტუგალია და ინგლისი.

● ყირიმის ნახევარკუნძულზე ისინი ჩრდილოეთიდან შემოიჭრნენ და თანდათან დაიმორჩილეს ბერძნული კოლონიები, ჩამოაყალიბეს თავიანთი სახელმწიფო, ააშენეს დედაქალაქი ნეაპოლი, მოჭრეს თავიანთი მონეტა და საბერძნეთში მარცვლეულის ექსპორტს აწარმოებდნენ – ისინი იყვნენ სკვითები.

● ყრუ-მუნჯთა ენის თითოეული ჟესტი გარკვეულ აზრს, ცნებას აღნიშნავს. ამ ენაზე 1841 წლიდან რუსეთის ქალაქი პიატიგორსკი ერთმანეთისკენ მიმართული ორი პისტოლეტით გამოიხატება, რადგანაც სწორედ ამ ქალაქში შედგა მარტინოვისა და ლერმონტოვის დუელი.

● საათების მოდა თითოეულ საუკუნეში რამდენჯერმე იცვლებოდა. როგორ აღარ ატარებდნენ მათ: მაჯაზე, თითზე, მკერდზე, ქუდზე, ქამარზე, ხელჯოხზე, მაგრამ ყველაზე იდეური პრაქტიკული თვალსაზრისით გრაფი დ' არტუა, საფრანგეთის მომავალი მეფე, კარლოს V აღმოჩნდა, რომელიც არაერთ მინიატიურულ საათს ატარებდა – ღილების სახით.

● ალექსანდრე მაკედონელი თავის მეომრებს ასე ირჩევდა: ადამიანი შეჰყავდათ ლომთან გალიაში და თუ გაფითრდებოდა, მათ იწუნებდა, ხოლო თუკი გაწითლდებოდა, ისინი მიჰყავდა. თანამედროვე მედიცინას თუ მოვიშველიებთ, ეს ასე აიხსნება: თუკი ადამიანი გაფითრდება, ე.ი. სისხლი ტოვებს ტვინს, რადგან მას არ მიეწოდება ჟანგბადი, რაც ნიშნავს იმას, რომ ის ვერ მოიფიქრებს გამოსავალს კრიტიკული სიტუაციიდან, ხოლო გაწითლებისას, პირიქით, სისხლი მიეწოდება ტვინს, ე.ი. ის მდიდარია ჟანგბადით და გონება სხარტად მუშაობს.



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7039 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3650 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7283 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9315 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.6346 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1479 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1473 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0749 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5928 ლარი |



### ამინდი დღეს



| | |
|---|---|
| თბილისი. | +8 – +17 |
| ქუთაისი. | +11 – +21 |
| ბათუმი. | +13 – +19 |
| ზუგდიდი. | +12 – +18 |
| თელავი. | +7 – +11 |

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

– რა აქვთ საერთო უბრალო მოქალაქეს და ჩინოვნიკს?

– არც ერთ მათგანს არ ყოფნის ხელფასი იახტისა და ძვირიანი მანქანების შესაძენად.

– რა განსხვავებაა მათ შორის?

– უბრალო მოქალაქეს არ ჰყავს არც იახტა და არც ძვირიანი მანქანები, ჩინოვნიკს – კი.

* * *

თუ კრიშტიანუ რონალდუ ჯენიფერ ლოპესისთვის პანჩურის ამორტყმისას ფეხს მოიტეხს, საერთო დაზღვევის თანხა საქართველოს ბიუჯეტს გადააჭარბებს.

* * *



მშობლები ჩახუტებულნი სხედან დივანზე. პატარა მიხო ჩაფიქრებული უყურებს მათ, მერე კი ამბობს:

– გეყოთ ჩახუტება! ისედაც ბევრნი ვართ!

* * *

კაცებმა რომ იცოდნენ, რას ფიქრობენ ქალები, ოცჯერ უფრო თამამად დაუწყებდნენ არშიყობას.

* * *

– და მაინც, რა მოგეწონა მაგ ქალში. ტარანივით გამხმარია!

– სამაგიეროდ არაყთან და ლუდთან გადასარევია!

* * *

ნურაფერს ნუ მიიტანთ გულთან ახლოს. ყველა გულითადი საქმე გულსისხლძარღვოვანში გადადის.

* * *

საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩვენთან სამსახურში ყავაშიც კი ურევენ ძილის წამალს...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.